ახალი განათლება

24-30.01.2019

№1 (835) გაბმული 1998 წლიდან

www.akhaliganatleba.ge

✓ მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემის ნასვლად, „მასწავლებლის პროფესიის ჰაბულიჰების წესი“ ამოქმედდება.

✓ გაუქმდება ჯილდოსაულების დაბრუნების სისტემა და განისაზღვრება გაიდამავალი ეტაპი.

✓ მასწავლებლის სტატუსის მოსაპოვებლად, პირველ ეტაპზე, იქნება საკვალიფიკაციო გამოცდა.

✓ 2019 წელს საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის ბიუჯეტი გასამმაგდა.

✓ ელემენტარულ პროგრამას სკოლები სამინისტროს ჩარევის გარეშე მოაგვარებენ.

✓ თანამედროვე ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში „ახალი სკოლის მოდელი“ შემოღის:

• დაგეგმილია „სთრიმინგ გაკვეთილების“ დანერგვა;

• სექტემბრიდან, დაწყებით კლასებში, კომპიუტერული ტექნოლოგიების ახალი სახელმძღვანელო (შვედური სახელმძღვანელოების სერიიდან „გამარჯობა ჰუბი“) შემოვა და 50 საპილოტე სკოლაში გამოიცდება.

ქართველი მოსწავლის აბსოლუტური შედეგი

10-15 იანვარს, ქალაქ აღმატაში გამართულ ევროპოვის ოლიმპიადაში, რომელშიც 18 ქვეყნის 82 გუნდი იყო წარმოდგენილი, საქართველოდან თბილისის კომაროვის და ვეჯუას, ხოლო ქუთაისიდან ჩაზმაძის ფიზიკა-მათემატიკური სკოლის გუნდები მონაწილეობდნენ. მათ, ინდივიდუალურ და გუნდურ შეჯიბრებებში, 4 ოქროს, 3 ვერცხლისა და 3 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. ქართველი მოსწავლეების მონაწილეობა ოლიმპიადაში გამორჩეულად წარმატებული იყო – ინფორმატიკაში კომაროველმა ნიკოლოზ ბერეკაძემ ერთადერთმა აჩვენა აბსოლუტური შედეგი.

ხელმომწერთა საყურადღებოდ!

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ 2019 წლის 1 იანვრიდან ორგანიზაციები ვალდებულნი არიან, დოკუმენტებზე (ამ შემთხვევაში, გაზეთის ხელმოწერის ხელშეკრულებაზე) შეასრულონ კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა ან/და ეს დოკუმენტები (ხელშეკრულებები) დაამოწმონ კვალიფიციური ელექტრონული შტამპით.

აქედან გამომდინარე, „ახალი განათლების“ რედაქცია მოგმართავთ თხოვნით, ჩვენს მიერ მოწოდებული მატერიალური ხელშეკრულებები, 10 თებერვლამდე, გადმოგვიგზავნოთ ელექტრონულ ფოსტაზე axaliganatleba1@gmail.com, რომლებსაც დაგიმოწმებთ ელექტრონული ხელმოწერით და უკან დაგიბრუნებთ. ეს პროცედურა საშუალებას მოგცემთ, ხელშეკრულებები უპრობლემოდ ატვირთოთ სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში.

გთხოვთ, აუცილებლად დაიცვათ მითითებული ვადა.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით ნომრებზე: 593 300 264, 599 88 00 73

გმადლობთ თანამშრომლობისთვის!

რეფორმა

სქემაში განხორციელებული ცვლილებები მასწავლებლებს ბიუროკრატიისგან ათავისუფლებს

განათლების სამინისტრომ დაგეგმილი და განხორციელებული ძირეული რეფორმების განხილვა დაიწყო.

„ორი კვირის განმავლობაში ვისაუბრებთ სექტემბერში დაანონსებულ რეფორმაზე, იმ პრიორიტეტებზე, რომლებზეც აქამდეც გვქონდა საუბარი. ეს ორი კვირა შეგვიძლია ერთ-ერთ გარდამავალ ეტაპად ჩავთვალოთ. ყველაფერი იწყება დღეიდან“ – განაცხადა **მიხეილ ბატიაშვილმა**.

მისივე განცხადებით, აღნიშნული რეფორმები განათლების სისტემის 10 მოდულს შეეხება. დაანონსებული ორკვირიანი შეხვედრების პირველი დღე სკოლამდელ და ზოგად განათლებაში ჩატარებული სამუშაოებისა და დაგეგმილი სიახლეების გაცნობას დაეთმო. მომდევნო დღეებში, შემდეგ პანელებს წარადგენენ: ინფრასტრუქტურული პროექტები; ინოვაცია და ტექნოლოგიები; ეროვნული გამოცდები; ხარისხის უზრუნველყოფა უმაღლეს სასწავლებლებში; უნივერსიტეტების დაფინანსების ახალი მოდელი; პროფესიული განათლება; მეცნიერება; განათლების კლასტერები.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელმა, **ბერიკა შუკაკიძემ** მასწავლებელთა პროფესიული სქემის პრეზენტაციისას იმ ძირითად ცვლილებებზე ისაუბრა, რისი განხორციელებაც იგეგმება. ცვლილებების დეტალურ ინფორმაციას საზოგადოება ეტაპობრივად მიიღებს.

✓ გაუქმდება კრედიტქულების დაგროვების სისტემა და განისაზღვრება გარდამავალი ეტაპი.

„როგორც ვიცით, არსებობს მასწავლებლის სტატუსის მოპოვებისა და შენარჩუნების სისტემები, მაგრამ ჩვენ შევეცდებით, რომ 2018-19 სასწავლო წლის ბოლომდე, ის ადამიანები, ვისაც დაწყებული აქვთ ეს პროცესი, არ შევაფერხოთ. ისინი გააგრძელებენ თავიანთ საქმიანობას. მასწავლებლის სტატუსის შენარჩუნებისათვის მათ 31 დეკემბრამდე განვუსაზღვრავთ ვადას, რომ პროფესიული განვითარება განახორციელონ. ეს მოხდება, ძირითადად, ტრენინგზე დასწრებით და ამის გეგმასაც მოგაწვდით დაწვრილებით. ასე რომ, მათ შეეძლებათ მშვიდად, წყნარად განაგრძონ საქმიანობა სკოლებში.“ – განაცხადა **ბერიკა შუკაკიძემ**.

მიხეილ ბატიაშვილი: *„ეს არ იყო ჩვენი ცალსახა გადაწყვეტილება, ის ეყრდნობა კვლევებს, რომლებსაც ვახორციელებდით ამ ხნის განმავლობაში. რადგან ჩვენი პრიორიტეტი მოსწავლე და მისი განვითარებაა, პედაგოგი აქტიურად უნდა იყოს ჩართული ამ პროცესში. დღევანდელი სისტემით კი, მასწავლებელი კრედიტქულების დაგროვებაზე უფრო მეტს ზრუნავს. მას ამისთვის ბიუროკრატიული ბარიერები შევუქმენით. კრედიტქულებზე ზრუნვაში კი, იკარგება ბავშვი, სასწავლო პროცესი და აქცენტი რეალურად ბიუროკრატიულ პროცესებზე გადადის. პედაგოგს მაქსიმალურად უნდა შევუწყოთ ხელი, რომ ყურადღება საგაკვეთილო პროცესიდან ვირტუალური ქულების დაგროვებაზე არ გადაიტანოს, თუმცა, შესაძლოა, გარკვეულ ეტაპზე, ამან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა, მაგრამ მიგვაჩნია, რომ ეს არ არის საკმარისი. ჩვენ გვჭირდება პედაგოგი, რომელიც აქტიურადაა ჩართული საგაკვეთილო პროცესში და რომელსაც შევუქმნით შესაბამის პირობებს (ეკონომიკურსაც), მათ შორის, ნაკლები ბიუროკრატიისა და მეტი შემოქმედებითი აქტიურობისათვის. ცვლილების პირველი ნაწილი, როგორც ვთქვით, ეტაპობრივად განხორციელდება, რომ უკვე ჩართულ ადამიანებს არ დაეკარგოთ გაწეული შრომა. გრძელვადიანი ორიენტირი კი ბავშვისკენ, პედაგოგისკენ და საგაკვეთილო პროცესისკენ უნდა ავიღოთ და არა დოკუმენტომანიისკენ. ამიტომ, ცვლილება, რომელიც კრედიტქულების გაუქმებას გულისხმობს, მიმართულია იმისკენ, რომ პედაგოგს, რაც შეიძლება გავუმარტივოთ ცხოვრება და სამუშაოდ შესაბამისი პირობები შევუქმნათ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერ მივიღებთ იმ ძლიერ, დამოუკიდებელ სკოლას, რომელზეც ვსაუბრობთ.“*

✓ გაუქმდება თვითშეფასების კითხვარისა და პორტფოლიოს ატვირთვის ვალდებულება.

ბერიკა შუკაკიძე: *„როგორც კვლევებმა გვაჩვენა, პედაგოგების უმეტესობა თვითშეფასების კითხვარს სხვებს ავსებინებდა და ამაში გარკვეულ გასამრჯელოსაც კი იღებდნენ ადამიანები. ჩვენ არ გვჭირდება ისეთი დოკუმენტების წარმოება, რომელსაც არანაირი ეფექტი არ აქვს საკლასო ოთახში. მთელი გუნდი ვეთანხმებით მოსაზრებას, რომ რაც შეიძლება მეტი ყურადღება დაეთმოს ბავშვს და ნაკლები – საბუთების შეგროვებასა და ატვირთვას. თუმცა, თვითშეფასებისთვის შესაძლებელია მასწავლებელმა მოითხოვოს კითხვარის შევსება და პორტფოლიოს ატვირთვა. ცენტრი მზად არის, დაეხმაროს მათ. თუმცა, ვიმეორებ, ამას ოფიციალური სახე აღარ ექნება.“*

✓ მასწავლებლის სტატუსის მოსაპოვებლად, პირველ ეტაპზე, იქნება საკვალიფიკაციო გამოცდა.

ბერიკა შუკაკიძე: *„გამოცდა არის ყველაზე სანდო მექანიზმი, რომლითაც მასწავლებელი ადასტურებს კვალიფიკაციას. არის ასეთი იდეა და ის ბატონ მიხეილს ეკუთვნის, რომ პრაქტიკოსი მასწავლებელი (ეს ლადო აფხაზავას შემთხვევამ გააააქტიურა) არაფრით ჩამოუვარდება მენტორ მასწავლებელს მის მიერ განხორციელებული საქმიანობით. ამიტომ, ლადოს და მისნაირ მასწავლებლებს, ჩვენ უნდა მივცეთ საშუალება, გავიდნენ გამოცდაზე და თუ სურვილი ექნებათ, მენტორის გამოცდაც კი ჩააბარონ. რასაკვირველია, გამოცდა ძალიან მაღალი კვალიფიკაციის იქნება. მაგალითად, სტემ-ის საგნებში ეს გამოცდები შეიძლება ლაბორატორიებში ჩაუტარდეთ, რომელსაც ჩვენი ცენტრის წარმომადგენლები და სხვა ექსპერტები დაესწრებიან. გვინდა, გამოცდა მხოლოდ გამოცდისთვის კი არ იყოს, არამედ მოგვცეს საშუალება, დავადგინოთ მასწავლებლის კვალიფიკაცია.“*

მიხეილ ბატიაშვილი: *„ჩვენი ხედვით, ყველა პედაგოგს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, საკუთარი ცოდნიდან და უნარებიდან გამომდინარე, მიიღოს ნებისმიერი სტატუსი. ეს ყველაზე მნიშვნელოვანია. ადამიანებს, ვინც ამას იმსახურებს, წლების განმავლობაში არ უნდა სჭირდებოდეთ ბიუროკრატიული ბარიერების გადალახვა უმაღლესი სტატუსის მოსაპოვებლად. ლადო აფხაზავა მართლაც ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია ამის და მჯერა, რომ ბევრი ასეთი მასწავლებელი გვყავს. სისტემამ უნდა მისცეს მათ, ნებისმიერ დონეზე, გამოცდის ჩაბარების შესაძლებლობა. უმთავრესია, ეს გამოცდა შეესაბამებოდეს იმ თანამედროვე მოთხოვნებს, რომელსაც რეფორმის ფარგლებში ვაყენებთ. პედაგოგმა წლები ფუჭად კი არ უნდა დახარჯოს, არამედ მოსწავლის ცოდნისა და განათლების ხარისხის ამაღლებას მოახმაროს.“*

✓ ახალგაზრდა კადრების პროფესიაში შესვლის გზები, რაც შეიძლება, უფრო მეტად უნდა გამარტივდეს და ეფექტური გახდეს.

„პროფესიაში, რაც შეიძლება, მეტი ახალი კადრი უნდა მოვიზიდოთ. შესაძლებელია, ძალიან კარგ ფიზიკოს ახალგაზრდას, იმის გამო, რომ დიპლომში პედაგოგის კვალიფიკაცია არ უწერია, უარი უთხრას სკოლამ მუშაობის დაწყებაზე. ამით მას ხელოვნურ ბარიერს ვუქმნით. რასაკვირველია, ეს არასწორი მიდგომაა, განსაკუთრებით მაშინ, როცა საბუნებისმეტყველო საგნებში, სკოლებში, კადრების დეფიციტია.“ – ამბობს **ბერიკა შუკაკიძე**.

მიხეილ ბატიაშვილი: *„სერიოზული მსჯელობა გვექნება, როგორ გავამარტივოთ არსებული ბარიერები, თუმცა, ეს არ მოხდება ხარისხის ხარჯზე. დროც და შრომაც ერთადერთ მიზანს – ხარისხს – უნდა ემსახურებოდეს. მნიშვნელოვანია როგორ გავამარტივოთ ბიუროკრატია, რომ ხელი არ შეეშალოს სკოლებში ახალი პედაგოგების შემოსვლას. ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდაა, რომელთაც დღეს არ აქვთ პედაგოგის სტატუსი, მაგრამ აქვთ მაღალი ცოდნა ქიმიის, ფიზიკის თუ სხვა დისციპლინაში. ასეთი კადრები სკოლებში საკმაოდ დიდი დეფიციტია. რაც მეტ ბარიერს შევქმნით, მით უფრო დავაგვიანებთ მათ სკოლაში შეყვანას, რამდენი წელი უნდა ველოდოთ? დასაკარგი დრო ნამდვილად არ გვაქვს, ყოველი წუთი, საათი და დღე ძალიან მნიშვნელოვანია ამ ცვლილებებისთვის. ამიტომ, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეფორმა, რაც გატარდება, სწორედ ახალგაზრდების ხელშეწყობა იქნება – რაც შეიძლება სწრაფად და მინიმალური ბიუროკრატიით მივცეთ შესაძლებლობა, მოხვდნენ მასწავლებლის პროფესიაში. მით უმეტეს, ეს ძალიან მნიშვნელოვანია რეგიონებში, სადაც, გარკვეულ დისციპლინებში, კადრების დიდი დეფიციტი გვაქვს.*

ცვლილების ეს ნაწილი, შესაძლოა, კიდევ ბევრ კითხვას აჩენდეს, მაგრამ, როგორც ვახსენეთ, ერთად ვიმუშავებთ და გადავწყვეტთ, რა ფორმით განხორციელდეს პროცესი, როგორი იქნება გამოცდების სისტემა ან პროფესიაში შესვლისთვის რა კურსებს შევთავაზებთ ახალგაზრდებს პედაგოგიკასა თუ სხვა სფეროებში.“

✓ გაზაფხულიდან პროფესიული განვითარების ტრენინგების სერვისების დეცენტრალიზაცია მოხდება.

ბერიკა შუკაკიძე: *„აქამდე სახელმწიფო უზრუნველყოფდა სერვისს და უამრავ თანხას ხარჯავდა. თუმცა, შესაძლებელია ის ვერ გატოლებოდა, მაგალითად, ბრიტანეთის საბჭოს მიერ ჩატარებულნ ტრენინგებ. ამიტომ, გავხსნით კარს და შემოვუშვებთ, რაც შეიძლება მეტ დონორს, მეტ საერთაშორისო ორგანიზაციას. თუმცა, რასაკვირველია, ამ პროცესს ჩვენ შევაფასებთ. მოხარული ვიქნებით, თუ ბრიტანეთის საბჭო, მთელი საქართველოს მასშტაბით, ინგლისურის პედაგოგებისთვის ჩაატარებს ტრენინგებს. სახელმწიფოსთვის კარგი იქნება, თუკი ტრენინგები იქნება უფასო და მაღალხარისხიანი. ამით ისარგებლებს მასწავლებელი და, რაც მთავარია, ისარგებლებს ბავშვი. პროცესი აბსოლუტურად გამჭვირვალედ წარიმართება, საერთაშრისო ორგანიზაციების მაქსიმალური ჩართულობით გამოირიცხება სუბიექტივიზმი. ყველა დაინტერესებულ მხარეს, უნივერსიტეტებს, არასამთავრობოებს, საერთაშორისო ორგანიზაციებს მოვუწოდებთ – მობრძანდით, გაიარეთ რეგისტრაცია და ჩაატარეთ ჩვენი მასწავლებლებისათვის ტრენინგები.“*

მიხეილ ბატიაშვილი: *„პედაგოგების გადამზადებას ცენტრალიზებულად ვახდენდით, თუმცა, შესაძლოა მათ სულაც არ სჭირდებოდათ გადამზადება. ამის განსაზღვრა საჭიროების მიხედვით კი არა, ცენტრალიზებულად ხდებოდა. ამიტომ, წელს სკოლები თავად გამოავლენენ პედაგოგების საჭიროებებს, რის მიხედვითაც გადამზადდებიან ისინი.*

ჩვენი სისტემა, საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობით, უზრუნველყოფს მათი ნებისმიერი მოთხოვნის დაკმაყოფილებას. ეს ყველაზე სწორი მოდელია და გვჯერა, რომ სკოლის საჭიროების მიხედვით მუშაობა რამდენჯერმე გაზრდის როგორც პედაგოგების კვალიფიკაციას, ისე სწავლების ხარისხს.“

✓ სპეცმასწავლებლებისთვის შემოღებული იქნება სხვაგვარი შეფასების სისტემა.

ბერიკა შუკაკიძე: *„ჩვენი ცენტრისა და, ზოგადად, სახელმწიფოს ხედვაა, მეტი ყურადღება გამოვიჩინოთ ინკლუზიური განათლების მიმართ, მეტი ფინანსური თუ ადამიანური რესურსი გადავისროლოთ ამ მიმართულებით, რადგან დღეს წარმოუდგენელია ცივილიზებული ქვეყანა ამ კომპონენტის გაძლიერების გარეშე. ამისთვის სამინისტროსაც და ცენტრსაც საკმარისად კვალიფიციური კადრი ჰყავს, რომ ამ მძიმე დავალებას გაართვან თავი. რესურსსკოლების სპეცმასწავლებლებისთვის და, ასევე, დანარჩენი სპეცმასწავლებლებისთვის შემოღებული იქნება სხვაგვარი შეფასების სისტემა. ეს იქნება ზუსტი რეფლექსია მათ საჭიროებებზე და ისინი არ იქნებიან განხილული ყველა მასწავლებელთან ერთად. ჩვენ ყოველმხრივ დავეხმარებით მათ, რომ უფრო ეფექტურად იმუშაონ სსსმ ბავშვებთან.*

რეფორმის პირველ ეტაპზე სკოლას გაძლიერებაში დავეხმარებით, ხოლო მეორე ეტაპზე ველოდებით, რომ სკოლები თავიანთ თავს მიხედავენ. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ბრძოლის ველზე მივატოვებთ. მუდმივად ვიქნებით მზად მათ დასახმარებლად. შეუძლებელია, დღეს ერთი საჭიროება დავადგინოთ და 2083 სკოლაზე გავავრცელოთ, უმჯობესია, სკოლებმა თავად თქვან, რა საჭიროებები აქვთ და ჩვენ, მხოლოდ და მხოლოდ, ამ საჭიროების მოგვარებისთვის მოვემსახურებით. მოდელი, რომელსაც სამომავლოდ დავამკვიდრებთ, არის ის, რომ სკოლაში შევქმნათ საშუალო რგოლის მენეჯმენტი. დღეს გვაქვს სკოლის დირექცია და გვყავს მასწავლებლები, ამიტომ, უნდა გავაჩინოთ რგოლი, რომელიც დაეხმარება დირექციასაც, მასწავლებელსაც და ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, აისახება სასწავლო პროცესზე, საბოლოო ჯამში კი, მოგებული დარჩება ბავშვი.“

მიხეილ ბატიაშვილი: *„პირველ ეტაპზე, ვინარჩუნებთ მასწავლებელთა შეფასების ცენტრალიზებულ წესს. ეს იქნება გარდამავალი ეტაპი. გრძელვადიანად მისი შემფასებელი მხოლოდ მცირე ნაწილით იქნება ცენტრალური ხელისუფლება, ძირითადად მას სკოლა შეაფასებს, რადგან სკოლაზე კარგად არავინ იცის რა კვალიფიკაციას იმსახურებს მასწავლებელი, გადამზადების რა პროგრამები უნდა გაიაროს. სახელმწიფო, საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობით, იქნება დამხმარე იმისთვის, რომ სკოლამ წარმატებას მიაღწიოს.“*

✓ სასწავლო პროცესში აქტიურად ჩართული მასწავლებლების მინიმალური ანაზღაურება 1500 ლარიდან დაიწყება.

სახელფასო პოლიტიკის დეტალების შესახებ სრული ინფორმაცია, სავარაუდოდ, აპრილში გახდება ცნობილი. *„კვალიფიკაციის მოდელზე ვმუშაობთ, თავის ანაზღაურებასთან ერთად და იმედი გვაქვს, რომ აპრილის თვეში წარმოვადგენთ კვალიფიკაციის სქემას სახელფასო პოლიტიკასთან ერთად, რომელიც წლევანდელი წლიდან დაიწყება და წლების განმავლობაში გაგრძელდება. პედაგოგის მინიმალური ხელფასი, რომელიც აქტიურად არის ჩართული სასწავლო პროცესში, უნდა იწყებოდეს 1500 ლარის ზევით. ვიმეორებ, იგულისხმებიან ის პედაგოგები, რომლებიც სრულად არიან სასწავლო პროცესში ჩართულები. დეტალური ინფომაცია კვალიფიკაციების, უფლებამოსილებების, რაოდენობებისა და ეტაპების შესახებ, მაისის თვეში გვექნება.“* – განაცხადა **მიხეილ ბატიაშვილმა**.

გასამმაგებული ბიუჯეტი საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის

2019 წელს საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის ბიუჯეტი გასამმაგდა – ამის შესახებ განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა, **მიხეილ ბატიაშვილმა** განათლების რეფორმის ფარგლებში, ინფრასტრუქტურული მიმართულებით დაგეგმილი პროექტების პრეზენტაციაზე განაცხადა.

2019 წელს, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მშენებლობა-რეაბილიტაციისათვის, ბიუჯეტიდან, 80 მილიონი ლარია გამოყოფილი, იგეგმება თბილისსა და რეგიონებში, განათლებისა და მეცნიერების ახალი ქალაქის და პროფესიული განათლების ცენტრის აშენება, საჯარო სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაცია და სკოლების უსაფრთხოების სისტემის უზრუნველყოფა. განათლების სამინისტრომ, ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და სხვა პარტნიორებთან ერთად, შეიმუშავა სისტემური მიდგომა – სრულად შეისწავლა სკოლებში არსებული ინფრასტრუქტურული პრობლემები და მათი საჭიროებები პრიორიტეტების მიხედვით დაალაგა. *„პირველ რიგში, რაც განათლების რეფორმის ფარგლებში განხორციელდა, შეიქმნა სკოლების საჭიროებების ერთიანი ბაზა. დღეს უკვე ჩამოყალიბებული გვაქვს ხედვაც, რა უნდა განხორციელდეს წლების განმავლობაში. ყველაზე მთავარია გასამმაგებული ბიუჯეტი, რომელიც მოხმარდება როგორც*

რეფორმა

„ახალი სკოლის მოდელი“ ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში

ახალი სკოლების მშენებლობას, ისე საჭიროების მიხედვით სკოლების რეაბილიტაციას დედაქალაქსა და რეგიონებში“ – აღნიშნა მინისტრმა.

საჭიროებები რომ მართლაც დიდია, ბაზაშიც გამოიკვეთა და მინისტრიც ადასტურებს: *„ძალიან ბევრი პრობლემაა გადასაჭრელი, მაგრამ, რაც ყველაზე მთავარია, საჭიროებები პრიორიტეტების მიხედვით განისაზღვრა და თებერვლიდან დაიწყება კონკრეტული მუშაობა როგორც ახალი სკოლების მშენებლობის, ისე არსებულის რეაბილიტაციის კუთხით. ამიტომ, წლევანდელი წელი, გაზრდილი ბიუჯეტით, ძალიან მნიშვნელოვანი იქნება, რადგან სამჯერ მეტი პრობლემის გადაჭრას შევძლებთ.*

ერთიანი გეგმა შეეხება როგორც სკოლებს, ისე პროფესიულ და უმაღლეს სასწავლებლებს. ვფიქრობთ, წლის ბოლომდე დავიწყოთ 20-მდე სკოლის მშენებლობა, ასობით მიმდინარე პროექტის განხორციელება და კიდევ, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, სკოლებს მიეცემათ შესაძლებლობა, ბევრი პრობლემა ადგილზევე გადაჭრან, სამინისტროს ჩარევის გარეშე. ამისთვის არსებობს სათანადო რესურსი და ბევრი რამ სკოლის დირექტორებზეც იქნება დამოკიდებული. ჩვენი მხრიდან განვახორციელებთ მონიტორინგს და მჯერა, რომ ელემენტარულ პრობლემას სკოლები სამინისტროს ჩარევის გარეშე მოაგვარებენ.“

ჟურნალისტების კითხვას, ხომ არ იგეგმება სკოლის დირექტორების საკადრო ცვლილებები, მინისტრი პასუხობს, რომ ასეთი გეგმა არ აქვთ, თუმცა, ხაზგასმით ამბობს, რომ საჭიროა ორმხრივი პასუხისმგებლობა, *„რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენი მხრიდან ყველანაირი რესურსით უზრუნველვყოფთ, ერთობლივად უნდა ვიმუშაოთ პრობლემების გადაჭრაზე. აქტიურად ვითანამშრომლებთ დირექტორებთან.“*

როგორც შეხვედრაზე ითქვა, პირველი რიგის პრობლემების გადაჭრასთან ერთად, სამინისტროს გრძელვადიანი ხედვაა რაც შეიძლება მეტი, ენერგოეფექტური სკოლის მშენებლობა, რადგან გარემოზე ზრუნვის გარდა, ეს რესურსების დაზოგვასაც გამოიწვევს. ერთ-ერთი პრიორიტეტი მშენებლობის პროცესში მუდმივი მონიტორინგი იქნება, მშენებლობის ხარისხის უზრუნველყოფისა და ვადების დაცვის მიზნით. მინისტრის თქმით, რაც შეიძლება მეტ ბავშვს სწრაფად უნდა მიეცეს ახალ და რეაბილიტირებულ სკოლებში სწავლის შესაძლებლობა და ამისთვის რამდენიმეწლიანი ლოდინი არ უნდა დასჭირდეთ.

რა დრო დასჭირდება სამინისტროს საქართველოს საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურული საჭიროებების მოსაგვარებლად, ამის შესახებ მინისტრმა განაცხადა, რომ ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფა მუდმივი პროცესია და შეუძლებელია დათქმულ დროში სრულად ამოიწუროს პრობლემები – ერთი პროცესი რომ სრულდება, მეორე იწყება. *„საჭიროება იქნება მუდმივი და არასდროს დასრულდება, რადგან შეიძლება სამი წლის წინ რეაბილიტირებულ სკოლაში რაიმე ტიპის საჭიროება ისევ გაჩნდეს“.* რაც შეეხება დღეის მონაცემებით გამოკვეთილ საჭიროებებს, მინისტრის განცხადებით, იმდენად ბევრია, რომ მის სრულად აღმოფხვრას რამდენიმე წელი დასჭირდება.

მინისტრის მოადგილემ, **ნათია ზედგინიძემ**, ინფრასტრუქტურული პროექტების პრეზენტაციაზე საჯარო სკოლების მოვლა-პატრონობის პროექტის პილოტირებაზე ისაუბრა, რომელიც მიმდინარე წლიდან საქართველოს რამდენიმე ათეულ საჯარო სკოლაში განხორციელდება. საჯარო სკოლების მოვლა-პატრონობის უნიფიცირებული და მოქნილი სისტემა სკოლებს შესაძლებლობას მისცემს, დროული რეაგირება მოახდინონ და ყველა საჭირო ღონისძიება გაატარონ უსაფრთხო და მიმზიდველი სასწავლო გარემოს უზრუნველსაყოფად. პროექტი საქართველოს მთავრობისა და ათასწლეულის კორპორაციის მიერ ფინანსდება და მისი ბიუჯეტი 5 მილიონი აშშ დოლარია.

* * *

მიხეილ ბატიაშვილმა განაცხადა, რომ სამინისტრო სკოლებში სკოლამდელი განათლების ინტეგრაციის მიმართულებითაც მუშაობს. *„ამის შესაძლებლობა ბევრ სკოლაშია და იქ არა მარტო სკოლამდელი განათლების, არამედ პროფესიულების ინტეგრაციაზეც ვიზრუნებთ. მით უმეტეს, მნიშვნელოვანია ეს რეგიონებში. რაც უფრო მეტი სივრცე იქნება ინტეგრირებული, მით მეტ ეფექტს მივიღებთ,* – განაცხადა მინისტრმა. – *ყველაზე მთავარი სამუშაო – ერთიან ბაზაში სკოლების საჭიროებების გამოკვეთა – დასრულებულია. ეს მოგვცემს შესაძლებლობას, დავინახოთ, რომელ სკოლაშია შესაძლებელი სკოლამდელი განათლების ინტეგრაცია. ჩვენი გეგმის მიხედვით, რამდენიმე წელიწადში მაქსიმალურად მოვიცავთ სკოლამდელ განათლებას – ყველა ბავშვი აქტიურად ჩაერთვება სკოლამდელ განათლებაში.“*

ამის შესახებ ინოვაციებისა და ტექნოლოგიების მიმართულებით დაგეგმილი პროექტების პრეზენტაციაზე გახდა ცნობილი. რეფორმის ფარგლებში, პირველ ეტაპზე, 50 სკოლაში განახლდება კომპიუტერული კლასები და აღიჭურვება ინტერნეტითა და WiFi-ით. სასწავლო პროცესში ციფრულ ინსტრუმენტებს ცოდნის შეძენის, ინფორმაციის შენახვისა და გაცვლის მიზნით გამოიყენებენ. ცვლილებების თანახმად, მასწავლებლები თავადაც შექმნიან ელექტრონულ სასწავლო რესურსებს და კოლეგებს გაუზიარებენ. Microsoft-თან და ტალინის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით, სასწავლო პროცესში ციფრული საგანმანათლებლო რესურსები დაინერგება; იგეგმება არსებული ელექტრონული რესურსების, მათ შორის, ვებგვერდის – el.ge-ის განვითარება. პორტალზე თავს მოიყრის სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ შექმნილი საგანმანათლებლო და შემეცნებითი რესურსები: ელექტრონული წიგნები, ვიდეო და ფოტომასალა და სხვ.

დაგეგმილია „სთრიმინგ გაკვეთილების“ დანერგვა – სპიკერები ონლაინ რეჟიმში ჩაატარებენ ლექციათა ციკლს „საუბრები მომავალზე“, რომელიც ორიენტირებული იქნება მოსწავლეებში კრიტიკული და ალგორითმული აზროვნების განვითარებასა და სწავლის პროცესში კრეატიულობის ამაღლებაზე.

სექტემბრიდან, დაწყებით კლასებში, კომპიუტერული ტექნოლოგიების ახალი სახელმძღვანელო (შვედური სახელმძღვანელოების სერიიდან „გამარჯობა რუბი“) 50 საპილოტე სკოლაში გამოიცდება. ჩამოთვლილი პროექტებიდან ზოგიერთი პირველი თებერვლიდან უკვე ხელმისაწვდომი იქნება, ხოლო 2022 წლისთვის კი ყველა წარმოდგენილი პროექტი დასრულდება.

ლალი ჯელაძე

პროფესიული განვითარება

წარმატებული პროფესიული მასწავლებელი არის წარმატებული პროფესიული განათლება

გასული წლის ოქტომბერში საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“. მასში აისახა რეფორმის სიახლეები და ასევე გამოიკვეთა ძირითადი მიმართულებები, მათ შორის, პროფესიული მასწავლებლის, როგორც სისტემის მთავარი ფიგურის, პროფესიის რეგულირების აუცილებლობა.

რა უფლება-მოვალეობები განესაზღვრება პროფესიულ მასწავლებელს და რა სახის მხარდაჭერა იქნება სახელმწიფოსგან პროფესიული განვითარებისთვის, რასაც მისი კარიერული წინსვლა და ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებაც უნდა მოჰყვეს, ამ საკითხებზე ამჟამად ვმუშაობთ ინტენსიურად საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების ჩართულობით.

ვიდრე უშუალოდ მასწავლებლის საკითხებზე ვისაუბრებდე, მინდა, ერთ ფაქტორს შევეხო, რომელიც ყველა იმ ადამიანმა იცის, რომელსაც მოუწია სწავლა ან სწავლება, მინიმუმ, 20 ან 30 წლის წინ. წლების გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ პროფესიული განათლებისადმი არადადებითი დამოკიდებულება წლების მანძილზე, პროფესიული განათლების პრესტიჟისთვის ერთ-ერთი შემაფერხებელი ფაქტორი იყო ყოველთვის. ვგულისხმობ, საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდებში მცხოვრები ადამიანების დამოკიდებულებას პროფესიული განათლებისადმი. პროფესიულ განათლებას მძიმე მემკვიდრეობა მოჰყვება პრესტიჟის თვალსაზრისით. ამიტომ, ძალიან რთულია, მხოლოდ სიტყვით დაარწმუნო ვინმე იმის სიკარგეში, რაც, ათეული წლების განმავლობაში, ცუდად მიიჩნეოდა. ამის მიღწევა, მხოლოდ საქმით, კონკრეტული წარმატების ისტორიებითა და ფაქტებით შეიძლება. საქმე კი ის არის, რომ პროფესიულ განათლებაში გვაქვს კონკრეტული შედეგები, რომელიც პროფესიული განათლების მიღების შედეგებს ასახავს. კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებელი, რეაბილიტირებული პროფესიული სასწავლებლები, უახლესი ტექნიკით აღჭურვილი სასწავლო სახელოსნოები, სისტემური და სისტემატური ღონისძიებები მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისათვის და სხვა. მაღალია პროფესიული კოლეჯების კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი. მაგალითად, ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი 94%-ია, ხოლო ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულთა – თითქმის 100%. ეს სტატისტიკაა და ამ ინფორმაციის მოძიება დაინტერესებულ პირს ინტერნეტში სასწავლებლების ოფიციალურ გვერდებზეც შეუძლია. კოლეჯები თავად იკვლევენ კურსდამთავრებულთა დასაქმების საკითხს. დამენთახმებით, დღევანდელ ვითარებაში გარანტირებული დასაქმების შესაძლებლობა ძალიან მნიშვნელოვანია ახალგაზრდებისა და ზრდასრულებისათვის. კიდევ ერთი ტენდენცია, ჩემს პედაგოგიურ გამოცდილებაზე დაკვირვებით, არის ის, რომ უკვე ზრდასრული ადამიანები, მანამდე მიღებული უმაღლესი განათლებით, პროფესიული კოლეჯების სტუდენტები ხდებიან. მათი მოტივაცია ძირითადად ორნაირია: სტუდენტებს სურთ, რომ პრაქტიკულად დაეუფლონ კონკრეტულ პროფესიას ან აისრულონ ამა თუ იმ პროფესიის დაუფლების დიდი ხნის სურვილი.

ერთი მაგალითი შემიძლია საკუთარი პრაქტიკიდან მოვიყვანო. როდესაც პროფესიულ კოლეჯ „მერმისში“ ვასწავლიდი ინტერპერსონალური კომუნიკაციის კურსს, ჯგუფში საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტი უმაღლესი განათლებით იყო. მათ შორის ერთი უმაღლესდამთავრებული სტუდენტი, რომელსაც კერვის შესწავლა სურდა. კოლეჯის დამთავრების შემდეგ მან საკუთარი ბიზნესი დაიწყო – კარვების და ჰამაკების კერვა ბავშვებისთვის. ამ პროდუქციაზე მოთხოვნა საკმაოდ მაღალია და ჩემს ყოფილს სტუდენტს ბიზნესის გაფართოებაც მოუწია. სხვა ბევრი მსგავსი მაგალითის მოყვანაც შეიძლება, რომელთა საფუძველზეც, ჩემი შეფასებით, პროფესიული განათლება ნელ-ნელა, მაგრამ თავისუფლდება განათლების მიღების არასასურველი გზის შტამპისაგან, რაზეც დასაწყისში ვისაუბრე და პოპულარული ხდება. აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ამ წინსვლის უკან, ქართული სახელმწიფოს ძალისხმევასთან ერთად (ვგულისხმობ განათლების სამინისტროს, ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს, თავად პროფესიულ კოლეჯებს), მნიშვნელოვანია საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერა და კერძო სექტორის ძალიან აქტიური ჩართულობა.

ახლა კი პროფესიულ მასწავლებელს დავუბრუნდეთ, ყველაზე მთავარ ფიგურას მთელ ამ პროცესში. ადამიანი, რომლის მხრებზეც გადადის რეფორმის ძირითადი პასუხიმგებლობა, სწორედ პროფესიული მასწავლებელია. ამიტომაცაა მასწავლებლის მხარდაჭერა სახელმწიფოს სერიოზული ამოცანა. პირველ რიგში, პედაგოგმა ზუსტად უნდა იცოდეს, **რას ითხოვენ** მისგან, შემდეგ დავსახოთ გზები, **როგორ გააკეთოს** ის, რასაც სთხოვენ და ბოლოს, მას მხარდაჭერა სჭირდება სასწავლო პროცესშიც. მას შემდეგაც კი, როცა იცის რა გააკეთოს და როგორ, აუდიტორიაში, სტუდენტთან პირისპირ დარჩენილს უამრავი სიძნელე შეიძლება შეხვდეს. მისი აუდიტორია ხომ სკოლისგან სრულიად განსხვავებულია. ჩვენი ძირითადი სამიზნე ჯგუფი კი 9 და 12 კლასდამთავრებული ახალგაზრდები არიან, მაგრამ, როგორც გითხარით საკმაოდ დიდია უმაღლესდამთავრებულთა კონტინგენტი. ისინი არა მარტო ასაკობრივად, განათლების დონითაც განსხვავებულები არიან და შესაბამისად, პროფესიულ მასწავლებელსაც მათთან ურთიერთობა განსხვავებულად უწევს. შეიძლება ისეც მოხდეს, რომ მასწავლებელი სტუდენტზე უმცროსი აღმოჩნდეს, რაც პროფესიული მასწავლებლისგან სწავლების განსაკუთრებული ფორმების ფლობას მოითხოვს. გარდა იმისა, რომ პროფესიული განათლება ათეულობით სხვადასხვა პროფესიის სპექტრს მოიცავს, სტუდენტთა თავისებურებებიც სრულიად განსხვავებული შეიძლება იყოს. ეს სისტემა ამ მხრივაც ძალიან სპეციფიკურია.

რაც შეეხება სახელმწიფოს მხარდაჭერის თემას, ზემოთ ვთქვი, რომ პედაგოგმა უნდა იცოდეს რას ითხოვს მისგან სისტემა. ამ მიზნით, ჯერ კიდევ 2014 წელს, შეიქმნა ორი მნიშვნელოვანი დოკუმენტი: პროფესიული მასწავლებლის სტანდარტი და ეთიკის კოდექსი. იმ სიახლეების გათვალისწინებით, რაც ამ ოთხ წელიწადში სისტემაში დაინერგა, აუცილებელია მათი შეცვლა, განახლება, რაც მიმდინარე წელს განხორციელდება. შემდეგ ამ განახლებული დოკუმენტების საფუძველზე შევქმნით ისეთ ტრენინგ-მოდულებს, რომლებიც მასწავლებლების საჭიროებებზე იქნება აგებული. მასწავლებლებს ჩაუტარდებათ ტრენინგები ადგილებზე, პროფესიულ კოლეჯებში. ყველა ტრენერი კონკურსს გაივლის. უპირველეს ყოვლისა, აუცილებელი პირობაა სისტემაში მუშაობის გამოცდილება, სპეციფიკიდან გამომდინარე და პედაგოგიური გამოცდილება, რა თქმა უნდა, სხვა უნარებთან ერთად. სწორედ ამ ტრენინგების მეშვეობით დაეუფლება პროფესიული პედაგოგი იმ ცოდნასა და უნარებს, რაც დასახული მიზნის მისაღწევადაა აუცილებელი.

შემდეგი ეტაპისთვის, როცა პედაგოგი პირისპირ რჩება აუდიტორიის წინაშე, ვთავაზობთ **ინდივიდუალურ კონსულტირებას**. კოლეჯში იკრიბება რამდენიმე მასწავლებელი და მომართავენ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრს პედაგოგიური კონსულტირების თემაზე. ტრენერი მიდის სასწავლებელში და იმ კონკრეტული პრობლემის ადგილზე განხილვით, რის გამოც მოგვმართეს პედაგოგებმა, კონსულტირებას უწევს მათ, ეხმარება წარმოქმნილი სიძნელეების გადალახვაში. არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი – ესაა მასწავლებლის მიერ **საკუთარი პროფესიული განვითარების დაგეგმვა. შეთავაზებული ტრენინგები**, არავითარ შემთხვევაში, არ შეიძლება იყოს თავსმოხვეული.

პროფესიული პედაგოგის კვალიფიკაცია უფრო მეტ დატვირთვას იძენს კიდევ ერთი აქტორის – **კერძო სექტორის სისტემაში შემოსვლის გამოც.** წინანდელთან შედარებით, ვითარება რადიკალურად შეცვლილია, დამკვეთი ახლა სახელმწიფო კი არა, კერძო სექტორია. სწორედ ის კარნახობს (უკვეთავს) განათლების სისტემას, რა კვალიფიკაციის კადრია საჭირო შრომის ბაზარზე, დამსაქმებელიც თავად არის, ამდენად დაინტერესებული მხარეც და სასწავლო პროცესის მონაწილეც. სწორედ მისი დაკვეთის საფუძველზე იქმნება ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში პროფესიული სტანდარტები და სასწავლო პროგრამები, რის საფუძველზეც ხორციელდება შემდეგ კოლეჯის ინფრასტრუქტურული მოწყობა.

ასე რომ, მასწავლებლისადმი წაყენებული სტანდარტი, ზოგადად, ძალიან მაღალია. ამიტომაც ვამბობ, რომ პროფესიულ განათლებას, როგორც არასდროს, სჭირდება მაღალკვალიფიციური, სათანადო უნარებით აღჭურვილი, სისტემის სპეციფიკას მორგებული მასწავლებელი, რომელმაც არა მხოლოდ არჩეული პროფესია უნდა შეასწავლოს სტუდენტს, არამედ ღრმად ჩაახედოს პროფესიის ნიუანსებში და პერსპექტივაშიც დაანახოს დასაქმებისა და თვითდასაქმების შესაძლებლობები.

ნინო ელბაქიძე

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და დირექტორების განვითარების სახელმწიფო პროგრამის მენეჯერი

დისკუსია „დედა ენის“ გარშემო

რა დაამავა „დედა ენამ“?!

„დედა ენა“ სასწავლო პროგრამიდან გააქრეს.

შარშან, ნოემბრის მიწურულს, საქართველოს პარლამენტის განათლების, კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ, მარიამ ჯაშმა ბრძანა, რომ *„დედა ენა“, რომელსაც მინიჭებული აქვს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი, დაცული უნდა იყოს ყოველგვარი ცვლილებებისგან და სკოლაში მოსწავლეები შეუფერხებლად სწავლობდნენ ამ წიგნით“*. თურმე შექმნილია ექსპერტთა საბჭო, რომელიც გოგებაშვილისეული მეთოდით მოამზადებს „დედა ენის“ სახელმძღვანელოს და 2019 წლიდან იგი სკოლებში დაბრუნდება.

ლოგიკურად ისმის კითხვა: კი მაგრამ, თუ დაბრუნებას ვაპირებდით, რატომ ამოვშალეთ სასწავლო წიგნების ნუსხიდან?

სამწუხაროდ, ჩვენებური სენია, ჯერ ვანგრიოთ და მერე ვიფიქროთ, დასანგრევი იყო თუ არა.

ერთი ფაქტი მახსენდება: სოფელში ერთსართულიანი 250 ადგილზე გათვლილი კლუბი გვქონდა. ერთ დღეს ის აღგავეს პირისაგან მიწისა – მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებსო. მერე აღმოჩნდა, რომ ახალი კულტურის სასახლე, თავისი პარამეტრებით, ამ ადგილას არ დაეტეოდა. სანამ ახალ ტერიტორიას გამოყოფდნენ და შენობას ააშენებდნენ, ორ ათეულ წელიწადზე მეტი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში სოფლელები (მეტის ღირსი არც ვიყავით), ზაფხულობით, ძველი სკოლის ზეწარგაკრულ კედელზე ვუყურებდით ფილმებს.

მენტალურად ჩვენში დღემდე არაფერი შეცვლილა: დასავლური ხიბლით თვალდაბინდულები ყველაფერ ეროვნულზე უარს ვამბობთ. თურაშაულის პატრონი ტყეში პანტას ვეძებთ. რამდენიმე წლის წინათ პედაგოგიურ უნივერსიტეტში (რომელიც დღეს აღარ არსებობს) ორი ფრანტი გვეწვია – სკოლაში ანბანის სწავლების ახალი მეთოდით შედგენილი სახელმძღვანელოს შეტანა გვინდა და კონფერენციაზე დაგვესწარითო. რომ ვკითხე, რომელ მეთოდს გულისხმობდნენ, ასე ამიხსნეს: გოგებაშვილის „დედა ენა“ მოძველდა, ახლებური მეთოდი უნდა შემოვიღოთო. არსი რომ გავიგე, ეს ხომ ჩვენთან კარგად ცნობილი მთლიან სიტყვათა, ანუ ამერიკული მეთოდია-მეთქი, ვუთხარი. გაიკვირვეს – მსგავსი რამ საქართველოში არავის გამოუყენებიაო. არც ტ. ზაალიშვილზე, ვ. ძიძიგურსა და ა. გვახარიაზე სმენოდათ არაფერი...

სამწუხაროდ, გასული საუკუნის 20-იანი წლების მიწურულსაც იკობ გოგებაშვილი მხოლოდ წარსულთან და დრომოჭმულთან ასოცირდებოდა. ზოგიერთები „დედა ენის“ დაუყოვნებლივ შეცვლას და ქართული წერა-კითხვის სწავლებაში უახლესი (ევროპული, ამერიკული) „ტექნოლოგიების“ დანერგვას მოითხოვდნენ. მაშინ შეიქმნა ამ მეთოდებზე დაყრდნობით ანბანის რამდენიმე სახელმძღვანელო: 1926 წელს – ვ. ძიძიგურისა და ა. გვახარიას „პირველი წიგნი“; 1927 წელს – ნ. ბოცვაძისა და ე. ბურჯანაძის „ახალი წიგნი“; 1928 წელს – ტ. ზაალიშვილის „ვისწავლოთ“; 1933 წელს – პ. ჭანიშვილის „შრომა და ცოდნა“... ეს სახელმძღვანელოები პროფესორ ნათელა მაღლაკელიძეს დეტალურად აქვს მიმოხილული თავის მეთოდიკის სახელმძღვანელოში. დავძენთ მხოლოდ, რომ ამ წიგნებში გამოყენებულია სწავლების სინთეზური მეთოდის სხვადასხვა ვარიანტი.

ცნობილია, რომ გოგებაშვილისთვის არც ეს მეთოდი იყო უცხო, მაგრამ მან მე-19 საუკუნის 70-იანი წლების მეორე ნახევარში შექმნა სრულიად განსხვავებული – ფონეტიკური დაწერილობის, ქართული ენისთვის სადაგი, ანალიზურ-სინთეზური მეთოდით შედგენილი სახელმძღვანელო. თუმცა არც ეს ყოფილა სიახლე, რადგან ერთი წლით ადრე – 1875 წელს, ასევე, ანალიზურ-სინთეზური მეთოდით შედგენილი ორი წიგნი გამოიცა – რ. ისარლიშვილის „პირველი წიგნი წერა-კითხვის სასწავლებლად“ და ა. ჯუღელის „ყმაწვილის სარკე“, რომლებიც გამოსვლისთანავე გაიყიდა. ამის მიუხედავად, მას შემდეგ, რაც 1876 წელს გოგებაშვილის „დედა ენა“ დაიბეჭდა, ეს წიგნები აღარ გამოცემულა, რითაც ავტორებმა გოგებაშვილისეული სახელმძღვანელოს უპირატესობა აღიარეს.

მაინც რაში გამოიხატა ეს უპირატესობა?

ისარლიშვილი, პირველ საანალიზო ერთეულად მოცემული სიტყვით, მოსწავლეებს პირველ გაკვეთილზე, ერთდროულად, ოთხ ასო-ბგერას აცნობს, მათგან ორს – **ბ** და **ტ**-ს, საკმაოდ რთულად დასაწერს. მომდევნო გაკვეთილებზეც მსგავს სირთულეებს ვაწყდებით.

გოგებაშვილმა კი თავიდანვე საანალიზოდ შეარჩია ბავშვებისთვის ნაცნობი, ესთეტიკურად ლამაზი საგნის აღმნიშვნელი უმარტივესი სიტყვა **ია**, რომელიც იოლი მოხაზულობის ორი ასო-ბგერისაგან შედგება. თანაც ამ ორი ასო-ბგერით მოსწავლე ეცნობა ორ სიტყვას და მარტივ წინადადებას. შეიძლება ვცდებოდე, მაგრამ რატომღაც მგონია, რომ მსგავს საოცრებას თქვენ ვერც ერთი ენის სახელმძღვანელოში ვერ შეხვდებით.

„დედა ენის“ შედგენისას გოგებაშვილი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს შემდეგ პრინციპებს: ნაცნობიდან – უცნობისაკენ, მარტივიდან – რთულისაკენ (სიტყვა ნაცნობია და მარტივი, ბგერა უცნობია და რთული), ასევე, გენეტიკურობას. ყოველი მომდევნო ასო-ბგერის შესწავლისას წინა პლანზეა წამოწეული **მსგავსებადობა**, ანუ, როგორც თავად ბრძანებდა, ყოველი ახალი ასოს გაცნობა უნდა მოხდეს უკვე ნასწავლ ასოზე მიმსგავსებით, ოღონდ თითოჯერ თითო სირთულის დამატებით. სწორედ ამ პრინციპების გათვალისწინებითა და ტექსტების გახალხურების გზით ხვეწდა გოგებაშვილი, გარდაცვალებამდე, „დედა ენის“ ყოველ მომდევნო გამოცემას.

ასო-ბგერების სწავლების გოგებაშვილისეული ანალიზურ-სინთეზური მეთოდი და პრინციპებია დაცული გასული საუკუნის 40-იანი წლებიდან ადაპტირებული ვერსიით გამოცემულ შვიდწლიანთა პირველი კლასისთვის ნ. ბოცვაძისა და ნ. ბურჯანაძის „დედა ენაში“, 6-წლიანთათვის – ვალერიან რამიშვილის „დედაენასა“ და ნათელა მაღლაკელიძის „დედა ენაში“, რომელიც თანამედროვე მოთხოვნებს მორგებული ანბანის სახელმძღვანელოა. მასში ზედმიწევნითაა გათვალისწინებული გოგებაშვილისეული პრინციპები და ანბანის სწავლებაც ბევრად იოლია, რაც სკოლის მასწავლებლებისგანაც არაერთხელ მსმენია.

სწორედ, მასწავლებელთა უკმაყოფილების შედეგია, რომ „ზემოთ“ „დედა ენის“ სახელმძღვანელოს სკოლაში დაბრუნებაზე ალაპარაკდნენ. თუმცა საკითხავია, როგორ დაბრუნდება „დედა ენა“ სკოლაში, თუკი „უკვე გრიფირებულია დაწყებითი კლასების სახელმძღვანელოები, კონტრაქტები გაფორმებულია“ და ხუთი წლის განმავლობაში ახალ სახელმძღვანელოზე გრიფი არ გაიცემა.

ქალბატონი მარიამ ჯაში ბრძანებს, რომ სახელმძღვანელოს *„ყველა დეტალს ეროვნული კომისიის ექსპერტები გადაწყვეტენო“, თან დასძენს, „იმისთვის, რომ ერთპიროვნული მხარდაჭერა არ მოხდეს რომელიმე ჯგუფის მიმართ, შეიქმნება კომისია“*. ცხადია, ეს კარგია და კომისიის ექსპერტთა კომპეტენტურობა არც გვეეჭვება, მაგრამ, ვფიქრობთ, ფართო საზოგადოებამ უნდა იცოდეს კომისიის წევრთა ვინაობა (თუ გამჭვირვალეობაა) მათი ცენზითურთ. თანაც კომისიის საბოლოო დასკვნა სახელმძღვანელოს დაბეჭდვამდე უნდა გახდეს ყველასთვის ცნობილი, რადგან საქმე ჩვენს მომავალს ეხება.

არ შეიძლება, ერთი კვირა „მოზდოკში“ ნამყოფი სპეციალისტების ხასიათზე იცვლებოდეს სკოლაში, ყოველწლიურად, სახელმძღვანელოები და სწავლების მეთოდები. ეს ქაოსია, ანუ უსისტემობა და უუნარობაა, რასაც ბოლო უნდა მოეღოს.

ვაჟა დანელია
დამსახურებული ჟურნალისტი,
ქართული ენის სწავლების მეთოდიკის მკვლევარი

ლიტერატურის სწავლებისათვის

არარაობიდან პიროვნებამდე



მე-20 საუკუნის ქართული მწერლობის გამორჩეული შემოქმედია ჯემალ ქარჩხაძე, თავისი უნიკალური თხრობის სტილით. მას ახასიათებს სათქმელის სიღრმისეულად და შთამბეჭდავად წარმოჩენა, პერსონაჟთა მხატვრული სახის დახატვა, რისი წვდომაც ძალიან მნიშვნელოვანია ტექსტის სრულყოფილად გააზრებისათვის. სწორედ აქ ვაწყდებით პრობლემას მე-12 კლასში „იგის“ სწავლების დროს.

ჯემალ ქარჩხაძე წერს: *„ადამიანების ცხოვრება სხვა არაფერია, თუ არა საიდუმლოებების მუდმივი ძიება, მათი მიგნება და სინათლეზე გამოტანა“*. სწორედ ამ ძიების სულითაა გამსჭვალული მოთხრობა „იგი“, რომლის მთავარი გმირი დიდი ტანჯვისა და მოთმინების ფასად შეძლებს ამაღლდეს არარაობიდან პიროვნებამდე.

ვინ არის პიროვნება? პიროვნება არის ადამიანი, რომელსაც თავისუფლად შეუძლია არჩევნის გაკეთება. ჯემალ ქარჩხაძეც სწორედ იმ გზას გვიხატავს, რომელიც იგიმ გაიარა პიროვნებად ჩამოყალიბებამდე.

მოსწავლეებს, პირველი წაკითხვისას, გაუჩნდათ კითხვები, ვინ არიან პერსონაჟები, რას ნიშნავს სიტყვები: *„იგი სხვა ჯიშისაა“, „იგისგან სწორედ ის დარჩა, რაც იგიში იგი იყო“...*

მწერალი ხატავს მაიმუნის მსგავს პირველყოფილ, წელში მოხრილ და უმეტყველო ადამიანებს, ხაზს უსვამს, როგორ გამოირჩევა მათგან ერთი, უცხო, განსხვავებული... (წელში გამართული).

შესავლიდან ჩანს, რომ დაპირისპირების ობიექტი არის იგი. ეს უფრო ამძაფრებს ინტერესს მის მიმართ. იმის გასაცნობად, თუ რატომ ადის იგი *„დიდი დაძინების ქარაფზე“*, ავტორს წარსულში გადავყავართ და გვაჩვენებს, როგორ შეძლო იგიმ, გათავისუფლებულიყო ცხოველური არსებობის ტყვეობისაგან.

იგი და ბელადი მოთხრობაში ერთდროულად ჩნდებიან. ამ ეპიზოდში ორივე უსახელოა. ბელადისა და მისი შვილის დაპირისპირება ცხადყოფს, რომ ასეთ საზოგადოებაში ხორციელ ინსტინქტებს დამორჩილებული ფიზიკურად ძლიერი არსება იმარჯვებს. იგი ასეთი არ არის, იგი *„სხვა ჯიშისაა“*. იგის წელში გამართულობით ავტორი ყურადღებას გვიმახვილებს მის განსხვავებულობაზე, იგი აზროვნებს: *„...ახლა, როცა მრავალი გაკვირვება ცოდნად ექცა, მიხვდა, რომ მუდამ არაფერი ყოფილა, ყველაფერი ოდესღაც გაჩნდა...“* როცა იგი მიხვდა თავის განსხვავებულობას, შეკრთა და წუხილი გაუჩნდა, რადგან გააცნობიერა იმ მარტოობის სიმძიმე, რომელიც ელოდა, თუ კვლავ თანამოძმეებს არ დაემსგავსებოდა. მსგავსი გააზრების უნარი არც ერთ მის თანატომელს არ ჰქონდა. ამან იგის ბევრი ტკივილიც მოუტანა და სიხარულიც. იგი მწუხარებაა, დანარჩენი ადამიანები კი – ტკივილი. იგის ტკივილი ურჩევნია, ცდილობს თანატომელებს დაემსგავსოს, თუნდაც ტკივილით, რადგან მწუხარება, რომელსაც მათგან გარიყვით მიიღებს, ტკივილზე მეტია: *„იგიც მათ უნდა დაემსგავსოს, რაკი მათი თანამოძმეა“* – თავის სხეულში თქვა იგიმ.

„მაგრამ ოდნავ მოიხარა თუ არა, ზურგში ავი ნადირივით ჩააფრინდა ტკივილი.

იგიმ შეჰყვირა და გაიმართა.”

იგის უჭირს გამორჩეულობის ტვირთის ზიდვა. გამოქვაბულის ბინადართ ხომ, იგისაგან განსხვავებით, არასოდეს აუხედავთ ზევით, ისინი სამყაროს ვერ აღიქვამენ ფერებში. იგის პიროვნებად ქცევა სწორედ მისმა განსხვავებულმა დამოკიდებულებამ განსაზღვრა სხვადასხვა მოვლენის მიმართ. მისი დაკვირვების, აღქმის, შეგრძნობის, ნააზრევის გადმოცემის უნარმა. იგისთვის მტკივნეულია გამართვაც და საზოგადოებისაგან მოწყვეტაც: *„იგი ისეთი უნდა გახდეს, როგორიც არიან სხვები. მაშინ იგი მარტო აღარ იქნება და წუხილიც დაანებებს თავს“*. მაგრამ მას მოსწონს ახალი სამყარო, რომელსაც თავაწეული ხედავს, ის შეიმეცნებს მშვენიერებას: *„ტყის მხრიდან ნიავი უბერავდა და ტყის მწვანე სუნი მოჰქონდა“*, შეუძლია საგნების ერთმანეთთან დაკავშირება: *„ნის თვალები ისეთია, როგორიცაა ცა“*.

მწერლობის დანიშნულება ადამიანის სულის კვლევაა, ამბობს ქარჩხაძე და „იგიშიც“ სწორედ ესაა მთავარი. ავტორი შთამბეჭდავად გვიხატავს იგის ფერიცვალებას: *„უცებ სხეულში ძლიერი სინათლე შემოიჭრა. მაშინვე თვითონაც სინათლედ იქცა, ყოველ მხარეს გაიფანტა, ყველაფერში შეაღწია, ყველაფრად იქცა და ყველაფერი იგიდ აქცია. ახლა სამყარო და იგი ერთი განუყოფელი რაღაც იყო“*.

იგი სწავლობს ფიქრს, აზროვნებას: *„ადრე უცხო სიტყვები რომ შემოესეოდნენ და მათს ასხმასა და დალაგებას შეუდგებოდა, გაურკვეველი სიმძიმე სხეულში ტკივილად ეღვრებოდა, თვალები ეხუჭებოდა და ძილი ერეოდა. ახლა ასეთი რამ აღარ ემართება. ახლა უცნობ სიტყვებს იოლად და სწრაფად ალაგებს“*. მან შეძლო დანაწევრებულად მეტყველება, რითიც ყველა თანატომელზე მაღლა დგება. იცის, რომ ამას თვით ბელადიც ვერ შეძლებს: *„იგიმ რაღაც იცის ისეთი, რაც თვით ბელადმაც კი არ იცის“*... და იგი მიხვდა, რომ ეს უნარი მას გამართვამ შესძინა: *„...ესეც იმის ბრალია, ალბათ, წელში რომ გაიმართა“*. იგიმ ისწავლა ოცნებაც, სიყვარულიც: *„როცა იგი დღის თვალს უყურებს, იგის უხარია ნი, ...როცა იგი ღამის თვალს უყურებს, იგის ენატრება ნი, ...როცა იგი მარტოა, ნი ჩნდება იგის სხეულში და იგი აღარაა მარტო“*. იგი უყურებს და აანალიზებს ყველაფერს, როცა მისი თანატომელები ყველაფერს ბელადის კარნახით აღიქვამენ. არ მოსწონს ბელადის სიტყვები და უბედურების განჭვრეტაც შეუძლია (იგიმ *„ცხელი ხიფათი“* შეიგრძნო). სწვდება სამყაროს და ყველაფერთან საოცარ ერთობას გრძნობს. იგი შემოქმედია, შეუძლია წარმოსახვა და მისი დახატვა: *„ნი ქრებოდა სხეულში და ჩნდებოდა ქვაზე“*. იგი გამორჩეულია სიკვდილთან შეხვედრისასაც, მიაბიჯებს ნელა, მშვიდად და მხოლოდ კვალის დატოვების სურვილი აწუხებს... და როცა მოხედა თანატომელებს, *„სახეზე სითბოს სუნი ასდიოდა“*, რადგან უყურებდა წელში გამართულ ზუს და უხაროდა, რომ *„იგისგან სწორედ ის დარჩა, რაც იგიში იგი იყო“*.

ამ საკითხებზე მსჯელობის შემდეგ აღარ არის გაუგებარი, რომ ჯემალ ქარჩხაძემ ძალიან საინტერესოდ და მისთვის დამახასიათებელი გამორჩეული სტილით გვაჩვენა პირველი თავისუფალი ადამიანი დედამიწაზე – პიროვნება, რომელმაც შეძლო სიყვარულისა და მშვენიერების აღქმა და საკუთარი თავის შეცნობა. შეცნობა იმისა, რომ ის მთელი სამყაროს ნაწილია და არა ველური ტომისა.

ქეთევან ბუხრაშვილი
ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის №199 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

გამოყენებული ლიტერატურა:
ვახტანგ როდონაია, ავთანდილ არაბული, მე-12 კლასის ქართული ენა და ლიტერატურა; თბ., 2012;
ქართველი მწერლები სკოლებში; წიგნი 12 – ჯემალ ქარჩხაძე, თბ., 2016.

პედაგოგთა დასახმარებლად

ინტერვიუ, როგორც სასწავლო მეთოდი

ვისაც თანამედროვე მოზარდებთან შეხება ჰქონია, კარგად იცის, რომ მათი სასურველ-საოცნებო პროფესიების რიცხვში თუ პირველ არა, ერთ-ერთ პირველ ადგილზე პროფესია – ჟურნალისტი დგას. ცალკე მსჯელობის საგანია, რატომ იქცა ჟურნალისტობა ესოდენ სასურველ და, როგორც ზოგი ვაი-ჟურნალისტი იტყოდა, „მოთხოვნად“' პროფესიად (უამრავი მიზეზი შეიძლება ჩამოვთვალოთ – პოპულარობის მომხიბლავი და ბრჭყვიალა პერსპექტივით დაწყებული და პროფესიის მოჩვენებითი სიიოლით დამთავრებული), მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენი მოსწავლეების უმრავლესობა ოცნებობს, დაეუფლოს ამ პროფესიას, რადგან, როგორც ცნობილი ჟურნალისტი და პუბლიცისტი თეიმურაზ ქორიძე ამბობს თავის წიგნში „საუბრები ჟურნალისტიკაზე“, ჟურნალისტს *„ყველა იცნობს, უცნობებიც კი ღიმილით ესალმებიან, მისით ამაყობენ, რჩევას ეკითხებიან, სერიოზული პრობლემების გადაწყვეტას ანდობენ, მასთან დამეგობრებას თვით უმაღლესი რანგის ჩინოვნიკებიც ცდილობენ“.*

ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს გვაქვს საშუალება, დავეხმაროთ მოსწავლეებს იმის წარმოდგენაში, რომ უკვე ჟურნალისტები არიან და მივცეთ იმის საშუალება, დამოუკიდებლად მოამზადონ ინტერვიუ, შეარჩიონ რესპონდენტიც, კითხვებიც, რაც საუკეთესო საშუალებაა ინფორმაციის მოპოვებისა და მოსწავლეთათვის მეტყველების, მოსმენის, კომუნიკაციის, სოციალური უნარების, კრიტიკული, ანალიტიკური და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებისათვის.

ინტერვიუ კარგი საშუალებაა იმისთვისაც, რომ მოსწავლეების ინტერესებიც გამოიკვეთოს – ეს ხდება მაშინ, როცა მათვე ვავალებთ, შეარჩიონ რესპონდენტი, რომლისგანაც ისურვებენ ინტერვიუს აღებას. ამ დროს ნათლად გამოიკვეთება, რა აღუძრავს მოსწავლეს ინტერესს – ისტორიული ფაქტი თუ გმირი, წიგნი თუ მწერალი, გადაცემა თუ წამყვანი, რეალურად არსებული პიროვნება თუ სხვა რამ; რესპონდენტის შერჩევა იმასაც გამოაჩენს, რამდენად არიან ჩვენი მოსწავლეები ჭეშმარიტი ღირებულებებითა და ფასეულობებით დაინტერესებულნი თუ ისინიც იმავე კატეგორიას მიეკუთვნებიან, მავანთა და მავანთა ჩასაცმელ-დასახურის ფერი, მარკა და ფასი რომ უფრო აინტერესებთ, ვიდრე რესპონდენტის სულიერი სამყარო.

მოსწავლეებისაგან არ გაგვიკვირდება, რადგან დამწყები ჟურნალისტების დიდი ნაწილიც კი მიიჩნევს, რომ *„ინტერვიუ ძალიან ადვილი და ხელმისაწვდომი ჟანრია, დიდი ამბავი – მიხვალ შენთვის საინტერესო კაცთან, რამეს ჰკითხავ, ის გიპასუხებს და შენ ჩაიწერ“* (თ. ქორიძე, „საუბრები ჟურნალისტიკაზე“, თბ., 2010).

თუმცა, რასაკვირველია, არც ასე მარტივადაა საქმე, ინტერვიუს სჭირდება წინასწარ გულდასმით მომზადება, რომელიც რამდენიმე საფეხურისაგან შედგება.

I საფეხური

ეს არის უშუალოდ ინტერვიუმდე შესასრულებელ სამუშაოთა ერთობლიობა.

რა არის აუცილებელი I საფეხურზე?

ა) მოსწავლემ კარგად უნდა გაიაზროს და ნათლად ჩამოაყალიბოს თავისი ინტერვიუს მიზანი.

ბ) მან უნდა შეარჩიოს ინტერვიუს დრო, ადგილი და გარემო, სადაც აიღებს ინტერვიუს და ეს ყველაფერი შეარჩიოს ისე, რომ რესპონდენტისთვისაც გახდეს მისაღები, მოხერხებული და ინტერვიუს ამღებისთვისაც.

გ) მოსწავლემ ინტერვიუმდე უნდა მოიძიოს გარკვეული ინფორმაცია რესპონდენტზეც და ინტერვიუს საგანზეც (როცა მოსწავლეებს ამ რჩევას ვაძლევ, აუცილებლად ვუამბობ რამდენიმე რეალურად მომხდარ ფაქტს – მაგალითად, როდესაც ჟურნალისტმა ერთ-ერთი ცნობილი მსახიობისაგან აიღო ინტერვიუ და ბოლოს ჰკითხა, თქვენ რომელ თეატრში მუშაობთო? (რაც იმაზე მეტყველებს, რომ წარმოდგენაც არ ჰქონდა თავისი რესპონდენტის ბიოგრაფიაზე, ანუ ინტერვიუსათვის სათანადოდ არ იყო მომზადებული).

ვიხსენებ ფაქტსაც, როდესაც I არხის ერთ-ერთმა პროდიუსერმა ჟურნალისტს დაავალა ელენე ახვლედიანის შესახებ სიუჟეტის მომზადება და ჟურნალისტი გამალებული ეძებდა ელენე ახვლედიანის მობილური ტელეფონის ნომერს, მისგან ინტერვიუ უნდა ავიღოო.

მოსწავლეებს ვუყვები ერთ ასეთ ისტორიასაც, რომელსაც 2003 წელს გამოსულ ჟურნალ „ევაში“ წავაწყდი – ჟურნალის პირველივე (და მგონი, უკანასკნელ) ნომერში დაბეჭდილი იყო ინტერვიუ აფხაზეთიდან დევნილთან, რომელიც ინტერვიუს დასაწყისშივე იხსენებდა შემზარავ ისტორიას, როგორ დაეღუპნენ ოჯახის წევრები: ცოლი და ორი შვილი – სამი წლის ბიჭი და რვა თვის გოგო, სოხუმიდან გამოქცევისას. ამ ნაამბობის მოსმენის შემდეგ, ჟურნალისტი მას ამგვარ კითხვას უსვამდა: გაგიმართლათ თუ არა პირად ცხოვრებაში? მე მგონი, აქ ყველა კომენტარი ზედმეტია.

სამწუხაროდ, უამრავი ასეთი ამბის მოყოლა შემიძლია მათთვის, რჩევის სახით – მოიძიონ წინასწარ ინფორმაცია ინტერვიუს თემაზე, რომ უხერხულ მდგომარეობაში მაინც არ აღმოჩნდნენ, სხვა თუ არაფერი.

დ) ინტერვიუმდე მოსწავლეებმა წინასწარ უნდა მოხაზონ იმ საკითხთა სავარაუდო წრე, რომლებმაც შეიძლება ინტერვიუს დროს დამატებით იჩინონ თავი.

ე) ასევე, ინტერვიუმდე უნდა მოგვარდეს ტექნიკური საკითხებიც, შემოწმდეს აპარატურა, თუ აუდიო ან ვიდეომაგნიტოფონით სურთ ინტერვიუს ჩაწერა (ისიც უნდა გაითვალისწინონ, რომ ზოგ რესპონდენტს კორესპონდენტის ხელში დანახული რაიმე ტექნიკა, ზოგჯერ ავტოკალამიც კი, ერთგვარ შიშსა და უნდობლობასაც კი აღუძრავს.)

ინტერვიუსთვის მზადების პირველ საფეხურზე, ინტერვიუს, როგორც სასწავლო მეთოდის გამოყენებისას, აუცილებლად გამოგვადგება სახელმძღვანელოში „ინტერაქტიური მეთოდები“ მოცემული რჩევები ინტერვიუს კითხვების ჩამოყალიბების შესახებ:

- „კითხვების შერჩევა (მათ შორის, ძირითადი, ალტერნატიული, დაუგეგმავ გარემოებაზე გათვლილი) უნდა იყოს მიმართული რესპონდენტის ცოდნის, აზრის თუ ფაქტების გაგებისაკენ.
- ინტერვიუს კითხვათა თანმიმდევრობა მიმართულია მარტივიდან რთულისაკენ. უმეტეს შემთხვევაში, ინტერვიუს დაწყება უმჯობესია ისეთი მსუბუქი კითხვებით, რომლებიც რესპონდენტს დაძაბულობას მოუხსნის.
- ბოლო კითხვა ყველაზე რთულია ან მთავარი.
- სასურველია კითხვების ორი ვერსიის მომზადება, სრული და შემოკლებული, რომელთა გამოყენება/არგამოყენების საკითხს, სიტუაციიდან გამომდინარე, ადგილზე გადაწყვეტთ.
- მოსწავლეს უნდა ახსოვდეს, რომ არ არის უხერხული, თუკი რაიმე ტერმინი ან ცნება მისთვის უცნობია მან თავისუფლად უნდა დასვას დამაზუსტებელი კითხვები“ („ინტერაქტიური მეთოდები“, თბ., 2014, გვ: 66-67).

II საფეხური

იმისათვის, რომ ამ საფეხურის სამუშაომაც წარმატებით ჩაიაროს, საჭიროა, რამდენიმე რჩევა მივცეთ მოსწავლეებს:

ა) აუცილებელია, მოსწავლეებმა გაარჩიონ, ვისგან იღებენ ინტერვიუს – თანატოლისა თუ უფროსისაგან, შესაბამისად, განსხვავებული უნდა იყოს ლექსიკაც, გარემოს შესაფერისი ენაც.

ბ) მოსწავლეებს არ უნდა გამოეპაროთ რესპონდენტთა სახის გამომეტყველება: უკმაყოფილება – მათი კითხვით გამოწვეული ან გაკვირვება – კითხვის ბუნდოვანებით. მათ უნდა შეძლონ შეკითხვის ხელახლა, უფრო გასაგებად დასმა.

გ) მოსწავლეებს ვურჩევთ, რესპონდენტებთან იყვნენ თავაზიანები, კორექტულები, ტაქტიანები (აი, როგორები არ უნდა იყვნენ, ამის მაგალითს ისინი შესანიშნავად ნახავენ გ. დოჩანაშვილის მოთხრობაში „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“).

დ) მოერიდონ დაღვლარჭნილად, მაღალფარდოვნად დასმულ კითხვებს, უხვსიტყვაობას, იყვნენ უშუალონი და ბუნებრივნი.

ე) არ დაავიწყდეთ რესპონდენტისთვის მადლობის გადახდა.

ინტერვიუს მომზადების ამ ეტაპზე ვუკითხავ ათ შეგონებას თ. ქორიძის წიგნიდან „საუბრები ჟურნალისტიკაზე“:

1) თქვენი შეკითხვა არ გულისხმობდეს მხოლოდ ერთგვაროვან პასუხს („ჰო“ ან „არა“);
2) არ გამოიყენოთ მტკიცებითი წინადადება კითხვის ნაცვლად;
3) არ გააერთიანოთ ორი შეკითხვა ერთ წინადადებაში;
4) ზედმეტი სიტყვებით არ გადატვირთოთ თქვენი შეკითხვა;
5) არ დასვათ „ჩამჭრელი“ შეკითხვები;
6) შეკითხვაში არ გამოიყენოთ არავითარი კომენტარები და შეფასებები;
7) არ გაიმეოროთ საკუთარი ან სხვისი საეჭვო იარლიყები;
8) შეკითხვის ადრესატს არ მიაკეროთ რაიმე იარლიყი;
9) არ გააბუქოთ თქვენი შეკითხვის მნიშვნელობა;
10) არ დასვათ ძალიან რთული შეკითხვა, იგულისხმება კითხვითი წინადადების კონსტრუქცია (ასე ფიქრობენ კანადელი ჯონ სავატსკი და შვედი ერიკ ფიხტელიუსი. თ. ქორიძის დასახელებული წიგნი, გვ.155)

III საფეხური

თუ ინტერვიუს აუდიო ან ვიდეოჩანაწერი არსებობს, მას ვუსმენთ და ვაანალიზებთ კლასთან ერთად. თუ ინტერვიუ სკოლის გარეთ ჩატარდა, მოსწავლე მას თავის ანგარიშთან ერთად წარუდგენს კლასს.

ამ საფეხურზე, ინტერვიუს შეფასებისათვის, შეიძლება გამოვიყენოთ მ. ინასარიძისა და მ. ნაჭყებიას სარეიტინგო სკალა წიგნიდან „ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების თანამედროვე მეთოდები“, თბ., 2006.:

მოსწავლის სახელი და გვარი .....

თარიღი .....

თემა .....

შედეგი	შეფასება	მაგალითი (დადასტურება)
გამოიჩინა გასაუბრების/ინტერვიუს თემის ზედმიწევნითი ცოდნა.		
ფლობს სასაუბრო თემის ლექსიკას.		
გათვითცნობიერებულია თემის შესახებ ახალ ინფორმაციასა და სხვადასხვა ვერსიაში.		
ინტერვიუ ააწყო შესავლის, ძირითადი ნაწილის/ბირთვის და დასკვნის ფორმით. მგრძნობიარე იყო რესპონდენტის რეაქციებისა და არავერბალური მინიშნებების მიმართ.		
სადაც საჭირო იყო, სვამდა დამატებით შეკითხვებს.		
აჯამებდა, როდესაც იყო საჭირო და აკეთებდა შესაბამის კომენტარებს.		
იყო თავაზიანი, ამჟღავნებდა გულთბილ და დაინტერესებულ დამოკიდებულებას.		

მოსწავლეები შეფასდებიან ქულებით ერთიდან ათამდე.

ლეილა ხონელიძე

სსიპ ქ. ფოთის ილია ჭავჭავაძის სახელობის №5 სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

გამოყენებული ლიტერატურა:

1) ინასარიძე მაია, ნაჭყებია მაია, „ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების თანამედროვე მეთოდები“, თბ., 2006; 2) „ინტერაქტიური მეთოდები“ (მასწავლებლის ბიბლიოთეკა), თბ. 2014; 3) ქორიძე თეიმურაზ, „საუბრები ჟურნალისტიკაზე“, თბ., 2010.

რეკომენდაცია წამყვანი მასწავლებლებისთვის

ინტელექტუალური თამაში „ოჯახი“

V–VI კლასის მათემატიკის გაკვეთილზე

მრავალწლიანი პედაგოგიური მოღვაწეობიდან გამომდინარე, დაკვირვებებმა და ანალიზმა გვაჩვენა, რომ მათემატიკის სწავლების დროს ეფექტური და შედეგზე ორიენტირებულია სწავლება თამაშით, მით უფრო V-VI კლასებში ხშირად მივმართავთ სხვადასხვა თამაშს, რომლის დროსაც, ძირითადად, ვითვალისწინებთ შედეგს:

- მოსწავლის განვითარების დონეს;
- მრავალმხრივ ინტელექტს;
- მოსწავლეთა მოტივაციას.

ერთ-ერთი ასეთი თამაშთაგანია „ოჯახი“, რომელიც შემდეგ წესებზეა აგებული:

- კლასი იყოფა სამ ჯგუფად, თითოეულ ჯგუფში 5-6 მოსწავლეა (თუ კლასი მრავალრიცხოვანია, დანარჩენები მაყურებლის როლში არიან, შემდეგ კი – მაყურებელი ითამაშებს);
- თითოეულ ჯგუფს ამოსახსნელად ეძლევა განსხვავებული სავარჯიშოები (ხდება ჯგუფური მუშაობის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება);
- ეტაპის დასრულების შემდეგ (იგულისხმება, რომ ჯგუფებმა ამოხსნეს სავარჯიშოები), ყალიბდება ახალი სამი ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით: პირველი ჯგუფიდან ორი მოსწავლე, მეორე ჯგუფიდან – ორი, მესამე ჯგუფიდან – ორი;
- თითოეული მოსწავლე სხვა მოსწავლეებს უხსნის (ასწავლის) თავის ჯგუფში განხილულ სავარჯიშოებს (ხდება როლური თამაშის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება);
- ეტაპის დასრულების შემდეგ მოსწავლეები ბრუნდებიან თავიანთ თავდაპირველ ჯგუფებში – „ოჯახში“ და ხდება სხვა ჯგუფებიდან მოტანილი სავარჯიშოების გაანალიზება;
- ეტაპის დასრულების შემდეგ იწყება მათემატიკური ჭიდილი შემდეგი წესების დაცვით: პირველი ჯგუფი, რომელიმე სავარჯიშოს ამოსახსნელად, ეძახის მეორე ჯგუფის წევრს, რომლის ვინაობას წყვეტს მეორე ჯგუფი. ამ შემთხვევაში, მეორე ჯგუფის წევრი გახლავთ მომხსენებელი, პირველი ჯგუფის რომელიმე წევრი – ოპონენტი, რომელთა შორის იწყება დისკუსია (მეორე ხსნის, პირველი კითხვებს უსვამს). მესამე ჯგუფის მიერ გამოყოფილი რომელიმე წევრი ოპონენტია, რომელიც უსმენს მოკამათეებს, დაბოლოს, აფასებს მათ კამათსა და ამოხსნის სისწორეს (ამგვარად ყალიბდება როლური თამაშების, კამათის, კრიტიკული აზროვნების, შეფასების უნარ-ჩვევები);
- ეტაპის დასრულების შემდეგ, მასწავლებელი, რომელიც აღწერილ სიტუაციაში წამყვანის როლში გამოდის, მოსწავლეებთან წინასწარ შეთანხმებული სისტემიდან გამომდინარე, ახსნა-განმარტების შემდეგ უწერს მათ ქულებს.

ამის შემდეგ უკვე მეორე ჯგუფი ეძახის მესამე ჯგუფს და მიმდინარეობს იგივე პროცესი, შემდეგ მესამე ჯგუფი – პირველ ჯგუფს და პროცესი შებრუნდება, პირველი ეძახის მესამეს, მესამე – მეორეს, მეორე – პირველს, პროცესი იწყება თავიდან და გრძელდება მანამ, სანამ ყველა მოსწავლე არ მიიღებს მონაწილეობას.

შალვა ხუციშვილი

სსიპ თბილისის 219-ე საჯარო სკოლის წამყვანი მასწავლებელი, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი

P.S. თითოეული მოსწავლე ერთხელ შეიძლება იყოს მომხსენებელი, ერთხელ – ოპონენტი, ერთხელ კი – რეცენზენტი. გამარჯვებული „ოჯახებისათვის“ შესაძლებელია დავანესოთ რაიმე პრიზი, გარეგანი მოტივაციის ამაღლების მიზნით.

პედაგოგთა დასახმარებლად

როგორ დავგეგმოთ კითხვის სამფაზიანი გაკვეთილი (III–VI კლასები)

გაკვეთილის ზოგადი მიზნები იქნება კითხვის გაწაფვაში ვარჯიში, ლექსიკური მარაგის გამდიდრება, ტექსტის გაგება-გააზრება, ანუ **კითხვის ხუთი კომპონენტიდან** სამი მათგანის გავარჯიშებაზე ვიმუშავებთ. ორი კომპონენტი კი (ფონოლოგიური უნარ-ჩვევები და ანბანის ცოდნა/ანბანური პრინციპის გამოყენება) ამ კლასის მოსწავლეებს ჩამოყალიბებული აქვთ.

მიყვარს, როდესაც გაკვეთილის მიზნები დაკონკრეტებული მაქვს ხოლმე. მაგალითად, ზოგადად კი არ მიწერია – „მოსწავლეები გაიაზრებენ ტექსტს“ ან „მოსწავლეები გაიმდიდრებენ ლექსიკურ მარაგს“ – არამედ კონკრეტულად:

• მოსწავლეები ტექსტის აბზაცებში გამოყოფენ მთავარ და არამთავარ ინფორმაციას.

• მოსწავლეები ამოიცნობენ პერსონაჟის ქცევის მამოტივირებელ ფაქტორებს.

• მოსწავლეები სხვადასხვა კონტექსტში გამოიყენებენ ნასწავლ სიტყვებს.

გაკვეთილის მიზნები უნდა შეესაბამებოდეს ესგ-ს სტანდარტის შედეგებს. ამ დოკუმენტში ასახული ინფორმაცია მეხმარება გაკვეთილის მიზნობრივ დაგეგმვაში.

კლასის შესაბამისად შევარჩევ ტექსტს. წინასწარ განვსაზღვრავ, ტექსტი მხატვრული იქნება თუ საინფორმაციო. საჭირო იქნება დავწერო ტექსტის ადაპტირებული ვარიანტი იმ მოსწავლეებისთვის, რომლებსაც უჭირთ გაწაფული კითხვა და შედარებით მწირი ლექსიკური მარაგი აქვთ.

ჩავატარებ კითხვის სამფაზიან მოდელზე მორგებულ გაკვეთილს, რომლის დროსაც გავითვალისწინებ **კითხვის კონცეპტუალური ჩარჩოს ასპექტებს**. კერძოდ:

1. შერჩეული მექნება ადეკვატური სირთულის, საინტერესო და ავთენტიკური **ტექსტი**;
2. ტექსტის შერჩევისას გათვალისწინებული მექნება **მოსწავლეების** მზაობა, ინტერესები და საჭიროებები;
3. კლასში შევქმნი კომფორტულ ფიზიკურ და ემოციურ **გარემოს**;
4. მოსწავლეებს დავუსახავ მკაფიო სასწავლო **მიზნებს** და შევთავაზებ დიფერენცირებულ, მათ შესაძლებლობებზე მორგებულ საკლასო **დავალებებს**...

1-ლი ფაზა

(ამ ფაზის მიზანია მოსწავლეთა მოტივირება ტექსტის წასაკითხად, ამ ტექსტთან დაკავშირებული და მისი აღქმის გაადვილებისთვის საჭირო წინარე ცოდნის გააქტიურება, სათაურსა და ილუსტრაციებზე ვარაუდებისა და მოლოდინების ჩამოყალიბება, ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობა ტექსტის წაკითხვის გაადვილების მიზნით).

გაკვეთილის მიზნებისა და შეფასების კრიტერიუმების გაცნობის შემდეგ პირდაპირ, ზედმეტი ზოგადი საუბრის გარეშე (რა დღეა დღეს, როგორი ამინდია, წელიწადის რა დროა და სხვ.), წარვადგენ წასაკითხი ტექსტის სათაურსა და ავტორს. ვისაუბრებთ სათაურის შესახებ, გავიხსენებთ ამ ავტორის სხვა ნაწარმოებს, თუ ვიცით. სათაურზე დაყრდნობით ვივარაუდებთ ტექსტის სიუჟეტს, პერსონაჟებს, მათ თავგადასავალს... (შენიშვნა ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებლის მიერ: ამ დროს მოსწავლეებს საშუალებას ვაძლევ, მოსაზრებები გამოთქვან მშობლიურ ენაზეც, მესმის თუ არა ეს ენა).

დავათვალიერებთ ტექსტის მიხედვით შექმნილ ილუსტრაციებს, აღვწერთ ამ ილუსტრაციებს, გავაგრძელებთ ვარაუდებზე საუბარს...

ცხადია, სათაურსა და ილუსტრაციებზე დაყრდნობით ვარაუდების გამოთქმისას, ილუსტრაციების აღწერისას, მოსწავლეები იყენებენ მანამდე არსებულ, წინარე ცოდნას. ეს, გარდა იმისა, რომ თავისთავად სასარგებლო აქტივობაა, მოსწავლეებს დაეხმარება ახალი ტექსტის უკეთ გააზრებასა და ახალი ცოდნის ათვისებაში;

ვიმუშავებთ ლექსიკურ ერთეულებზე. სამიზნე სიტყვების შერჩევისას უნდა გავითვალისწინო სამი ფაქტორი:

• ტექსტიდან შევარჩევ ისეთ სიტყვებს, რომლებიც მოსწავლეებმა არ იციან (ჩემი ვარაუდით, არ უნდა იცოდნენ) და რომელთა მნიშვნელობის ცოდნაც დაეხმარებათ ტექსტის გააზრებაში. წინააღმდეგ (ანუ ამ სიტყვების არცოდნის) შემთხვევაში კი გაუჭირდებათ ტექსტის წაკითხვა და აღქმა. სიტყვების შერჩევისას გავითვალისწინებ, რამდენად „სასარგებლოა“ ამ სიტყვის სწავლება მოსწავლისთვის. „სარგებლობაში“ ვგულისხმობ: ხშირი სიტყვაა თუ არა, პირველის რეგისტრისაა თუ მეორე რეგისტრის, რამდენად „გამოადგება“ მოსწავლეს მომავალში სხვა ტექსტების წაკითხვისას ან/და ზეპირმეტყველებაში. ამ სიტყვების დამუშავებისთვის გამოვიყენებ ე.წ. სიტყვების პირდაპირი სწავლების მიდგომას, ანუ განვუმარტავ მოსწავლეებს თვალსაჩინოდ ჩემ მიერ წინასწარ დაფაზე ჩამოწერილი სიტყვების მნიშვნელობას. ამ პროცესშივე, თუ საჭიროდ ჩავთვლი, გამოვიყენებ ლექსიკურ ერთეულებზე სამუშაო რომელიმე მეთოდს. მაგალითად, სიტყვის პირამიდა, ვვას – ვერბალური და ვიზუალური ასოციაციების სქემა, შესაძლო წინადადებები (ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, დამატებით გაზრდის მოსწავლეთა მოტივაციას ტექსტის წაკითხვისთვის), სიტყვის ბარათები (ამ და სხვა სასარგებლო მეთოდების შესახებ იხ. „კითხვისა და წერის სწავლება დაწყებით საფეხურზე“ პორტალზე: www.kargiskola.ge

• მეორე მხრივ, ტექსტში მოვნიშნავ ისეთ სიტყვებსაც, რომლებიც მოსწავლეებისთვის უცნობი იქნება, მაგრამ წინასწარ ახსნის გარეშე შესაძლებელი იქნება კონტექსტის მიხედვით მათი სემანტიკის ამოცნობა. აქ, შესაძლოა, სპეციალური საკვანძო სიტყვებიც (მაგალითად, მოვნიშნოთ/ამოვიწეროთ უცნობი სიტყვები და ავხსნათ მათი მნიშვნელობები, სიტყვების გამომძიებელი) შევთავაზო მოსწავლეებს. ამას იმ შემთხვევაში გავაკეთებ, თუ მივიჩნევ, რომ ეს სიტყვები მნიშვნელოვანია ტექსტის გააზრებისთვის ან/და ტექსტისთვის არა, მაგრამ ზოგადად ენის შესწავლისთვისაა მნიშვნელოვანი – მაგალითად, ხშირი ანდა პირველი რეგისტრის სიტყვაა...

• ჯონჯოლივით (ქართულ სუფრაზე რომ აუცილებლად უნდა იყოს, მიუხედავად იმისა, რომ არავინ ჭამს.) სიტყვები. ეს ის სიტყვებია, რომელთა მნიშვნელობა მოსწავლეებმა არ იციან, მაგრამ ეს ფაქტორი არც ტექსტის გააზრებაში შეუშლით ხელს და არც ენის ათვისების გაღრმავებისთვის გამოადგებათ როდესმე... ამ სიტყვებს, როგორც წესი, უგულებელვყოფ – მათთვის არც გაკვეთილის ძვირფას დროს დავხარჯავ, არც ჩემს ენერგიასა და არც მოსწავლეთა ნებისყოფას... ასეთი სიტყვებით, შესაძლოა, დაინტერესდნენ მოკირკიტე მოსწავლეები, რომლებსაც ცალკე დავუკმაყოფილებ ცნობისმოყვარეობას... ეს ფაქტორი უნდა გავითვალისწინოთ იმისთვისაც (განსაკუთრებით, ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებლებმა), რათა მოსწავლეები მივაჩვიოთ, რომ ზოგიერთი სიტყვის უგულებელყოფის შემთხვევაშიცაა შესაძლებელი ტექსტიდან ინფორმაციის ამოღება, მისი გაგება...

სწორედ ამ ფაქტორების გათვალისწინებით მექნება შერჩეული სამიზნე სიტყვები, რომლებზეც ჩავატარებ რომელიმე ლექსიკური ერთეულების ათვისებაზე ორიენტირებული მეთოდის მიხედვით დაგეგმილ აქტივობებს.

პირველი ფაზის სადაგი აქტივობაა წაკითხვის მოდელირება. აუცილებელია, მოსწავლეებს ვაჩვენო, თუ როგორ წაიკითხავენ ტექსტს ან/და გავაცნო ის სქემა თუ დავალება, რომელსაც წაკითხვის პროცესში შეასრულებენ.

მე-2 ფაზა

(ტექსტის წაკითხვა. კითხვის პარალელურად გარკვეული დავალების/დავალებების შესრულება. ამ ფაზის მიზანია ახალი ინფორმაციის, ცოდნის ათვისება, სამიზნე უნარის გაწაფვა).

მნიშვნელოვანია, როგორ წაიკითხავენ ტექსტს მოსწავლეები. განვიხილოთ სხვადასხვა ვარიანტი:

• შესაძლებელია, პირველად მე წავუკითხო ხმამაღლა, გამომეტყველებით. ცხადია, ამისთვის წინასწარი მომზადება დამჭირდება. გაგეცინებათ და, ტექსტს ყოველთვის წინასწარ ვკითხულობ ხმამაღლა. ვვარჯიშობ, რადგან, რაც უნდა მარტივი ტექსტი იყოს, ზოგჯერ ისეთი ადგილი გამოტყვრება, ან საჭირო ინტონაციით ვერ წაიკითხავ, ან სიტყვის ამოკითხვა შეგეშლება. თითქოს დიდი დარღვევა არაა, მაგრამ მაინც უხერხულია – ამ დროს მასწავლებელი სამოდელო, სანიმუშო აქტივობას ახორციელებს და შეცდომები მინიმუმამდე უნდა იყოს დაყვანილი... ჩემ მიერ საჩვენებელი წაკითხვის დროს კარგი იქნება, თუ მოსწავლეებს რაიმე დავალებას მივცემ, ე.წ. მოსმენის სტრატეგიების გამოყენებით გადასაჭრელ კონკრეტულ ამოცანას დავუსახავ. ეს განსაკუთრებით საყურადღებოა ქართულის, როგორც მეორე ენის შემთხვევაში. ეს დავალება შეიძლება იყოს რაიმე მარტივი სქემის/ცხრილის შევსება, რამდენიმე შეკითხვაზე „დიახ-არა“ ან „პლუს-მინუს“ პასუხების გაცემა.

რა დასამალია და, მე პირადად არ მომწონს მასწავლებლის მიერ მთლიანი ტექსტის წინასწარ ხმამაღლა წაკითხვა. მით უმეტეს, როდესაც ამას სისტემური ხასიათი აქვს და მით უმეტეს მაშინ, როდესაც მოსწავლეები მოტივირებულები არიან ტექსტის წასაკითხად, გააქტიურებული აქვთ ტექსტთან დაკავშირებული წინარე ცოდნა, ახსნილი და დამუშავებულია უცნობი ლექსიკა, გაღვივებული აქვთ ინტერესი ტექსტის მიმართ და დასახული აქვთ კონკრეტული და საინტერესო საკითხავი ამოცანა... ასეთ შემთხვევაში ნებისმიერ ადამიანს ხომ ერთი სული აქვს, ტექსტი წაიკითხოს. რატომ არ უნდა გამოვიყენოთ ეს წადილი იმისთვის, რათა მოსწავლემ დამოუკიდებლად გადაჭრას საკითხავი ამოცანები, დაიკმაყოფილოს გააქტიურებული ინტერესი? ხოლო გაწაფულად, სწორი ინტონაციით წაკითხვასა და ამ უნარში გასავარჯიშებლად სასურველი იქნება, თუ გაკვეთილის სხვა მონაკვეთს გამოვიყენებ იმავე მეორე ფაზაზე ანდაც მესამეზე...

• თუ მე არ წავიკითხავ წინასწარ, მაშინ უნდა გავითვალისწინო და განვსაზღვრო, როგორ წაიკითხავენ მოსწავლეები და რა დავალებას მივცემ წაკითხვის პროცესში.

როგორც წესი, მოსწავლეები დაჯგუფებული მეყოლება კითხვის უნარებისა და საჭიროებების მიხედვით. ჯგუფებს შორის, კლასში, იქნება ერთი 4-6-წევრიანი ჯგუფი, რომლებსაც კითხვის უნარებში გარკვეული ჩამორჩენა აღენიშნებათ. ამ მოსწავლეებისთვის გათვალისწინებული მექნება სწორედ ის ადაპტირებული ტექსტი, რომელიც ზემოთ ვახსენე (ამ შემთხვევაში არ ვგულისხმობ ისეთ გაკვეთილს, ე.წ. მართული კითხვის აქტივობას, რომელზეც სულაც სხვადასხვა ტექსტი მექნებოდა სხვადასხვა მზაობის მიხედვით შერჩეული ჯგუფისთვის...). ეს ტექსტი ამ ჯგუფის მოსწავლეებს სათითაოდ ექნებათ დარიგებული. წაკითხვისა და წაკითხვის პროცესში დავალების შესრულებისას, ძირითადად, ამ ჯგუფის მოსწავლეებთან ვიქნები და საჭირო დახმარებასაც (სკაფოლდინგი) გავუწევ.

• უნდა შევარჩიო დავალებები, რომლებსაც მოსწავლეები ჯგუფებში შეასრულებენ წაკითხვის დროს. აქ აუცილებლად უნდა გავითვალისწინო ტექსტის შესაძლებლობები და საჭიროებები. ბოლოს და ბოლოს, უნდა გავითვალისწინო ტექსტი მხატვრულია თუ საინფორმაციო... შესაბამისად უნდა შევარჩიო მოხდენილი მეთოდები და მათი გამოყენებით დავგეგმო მიმზიდველი აქტივობები. ამის მრავალფეროვანი არჩევანი გვაქვს. შესაძლოა ეს იყოს:

1. **სიტყვების გამომძიებელი** (ვთავაზობ სიტყვებს და მოსწავლეებმა, ტექსტიდან გამომდინარე და მისი დახმარებით, უნდა გამოიცნონ და განმარტონ სიტყვა). ამ, ქვემოთ მოხმობილ და სხვა სასარგებლო სტარტეგიების/მეთოდების შესახებ დაწვრილებით იხილეთ მასწავლებლის სარესურსო წიგნი „კითხვისა და წერის სწავლება დაწყებით საფეხურზე“, პორტალზე: www.kargiskola.ge;
2. **დაკარგული სიტყვები** (ტექსტში გამოტოვებული სიტყვების შევსება. სიტყვები ამოღებულია გარკვეული პრინციპით – ყოველი მე-5, ან ყოველი მე-7, ანდაც ჩემი გემოვნების მიხედვით ამოვიღებ ტექსტიდან სიტყვებს);
3. შეთავაზებულ სიტყვებზე, როგორც წესი – საკვანძო სიტყვებზე, **„პირამიდის“** ან **ვერბალურ-ვიზუალური ასოციაციების სქემის** შევსება. ამ სქემებში უნდა განმარტონ სიტყვა, დახატონ, ტექსტიდან ამოიწერონ ამ სიტყვიანი წინადადება და თავად შეადგინონ წინადადება ამ სიტყვის გამოყენებით (როგორც ვხვდებით, სქემის მოდიფიცირება შესაძლებელია იმ საჭიროების მიხედვით, რომელიც კონკრეტულ კლასში ან მოსწავლეთა ჯგუფში დგას);
4. ცხრილის „ტექსტი ამბობს – მე ვფიქრობ – ამიტომაც“ შევსება. ამ ცხრილისთვის, ცხადია, დამჭირდება 3-4 საინტერესო და „ხორციანი“ შეკითხვის მომზადება. საერთოდაც, მიმაჩნია, რომ ტექსტისთვის საინტერესო შეკითხვის მომზადება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა მასწავლებლისთვის.
5. მონაკვეთებად დაყოფილი ტექსტის წაკითხვის შემთხვევაში ვარაუდების ცხრილის „რა მოხდება – რატომ ფიქრობ ასე – რა მოხდა სინამდვილეში“ შევსება;
6. QAR-სტრატეგიის პრინციპებით მომზადებული შეკითხვების შეთავაზება. ეს სტრატეგია იმითაცაა საინტერესო, რომ საშუალებას იძლევა სხვადასხვა მზაობისა და საჭიროების მქონე ჯგუფს სხვადასხვა ტიპის შეკითხვები მივცე. მაგალითად, ერთ ჯგუფს მივცემ „პირდაპირ ტექსტში“ ტიპის შეკითხვებს, მეორეს – „მე თვითონ“, მესამეს – „დაფიქრდი და მოძებნე“, მეოთხეს – „მე და ავტორი“. ცხადია, შეკითხვების მოსწავლეთა ჯგუფების მიხედვით გადანაწილება არათუ აუცილებელი არაა, პირიქით. უკეთესია, თუ მოსწავლე ყველა ტიპის შეკითხვაზე მუშაობს და აკვირდება განსხვავებებს მათ შორის.

• თუკი კითხვაში განაფვა ერთ-ერთი სამიზნე აქტივობაა გაკვეთილზე, ტექსტის გარკვეულ ნაწილს ხმამაღლა წავაკითხებ მოსწავლეებს. ამ დროს შეიძლება გამოვიყენო წყვილებში წაკითხვა, წყვილებში ერთობლივი წაკითხვა, გაგრძელებებით წაკითხვა ან/და სხვა რომელიმე მეთოდი კითხვის განაფვის მეთოდთაგან... ცხადია, ამ მომენტში ყურადღება გამახვილებული მექნება კითხვაში პრობლემების მქონე ბავშვებზე. საჭიროების შემთხვევაში მივმართავ ჩემ მიერ სამოდელო წაკითხვის ანდა ერთობლივი წაკითხვის ფორმატსაც... მეორე ფაზაში „ჩაჩხერილი“, „ჩადგმული“, „ჩაშენებული“ განაფული კითხვის აქტივობები, გარდა იმისა, რომ ხელს შეუწყობს კითხვაში გაწაფვას, მოსწავლეებს დაეხმარება ტექსტის გაგება-გააზრებისა და მიცემული დავალებების ადეკვატურად შესრულებაშიც. რაც მთავარია, არ უნდა დამავიწყდეს, რომ ზედმეტი აქტივობით გაკვეთილი არ გადავტვირთო. შესაბამისად, გავითვალისწინებ, რომ ამის დრო შეიძლება აღარც კი დამრჩეს.

• მე-2 ფაზის დასკვნითი აქტივობა იქნება მიცემული დავალებების პრეზენტაციები. ამ მომენტისთვის ჩვენ კვლავ აქტიურად ვუბრუნდებით ტექსტს. შესაძლოა, ეს აქტივობა გადავიტანო მესამე ფაზაზე, იმისდა მიხედვით, როგორ გადანაწილდება დრო გაკვეთილზე. მესამე ფაზაზე გადატანის შემთხვევაში უფრო მეტ დატვირთვას მივცემ ჩემს უკუკავშირსა და შემაჯამებელ ჩაკითხვა-დაზუსტებებს.

მე-3 ფაზა

(ამ ფაზის მიზანია გაკვეთილზე გადაცემული სამიზნე ინფორმაციის, უნარის განმტკიცება, ჩამოყალიბებული დამოკიდებულებების გამოკვეთა. აქვე ვაჯამებთ გაკვეთილს, ვმსჯელობთ რეფლექსიური ხასიათის შეკითხვებზე, ვაფასებთ მოსწავლეებსა და გაკვეთილს).

მესამე ფაზისთვის შევარჩევ იმ აქტივობას, რომელიც ლოგიკურად დაასრულებს ჩემს გაკვეთილს. შეიძლება, ამ ფაზაზე მოსწავლეებს შევთავაზო ტიპური დავალებები:

• დაასრულე წაკითხული მოთხრობა (ორგანიზების ფორმა აქაც და ქვემოთაც დამოკიდებულია ჩვენი კლასის საჭიროებებსა და განწყობაზე).

• დახატე საკვანძო მონაკვეთის ილუსტრაცია.

• წარმოიდგინე და აღწერე (დაწერე) პერსონაჟის გასხვავებული საქციელის შემთხვევა.

• წარმოადგინეთ შერჩეული ეპიზოდის ინსცენირება (შესაძლოა, ეპიზოდები მე დავუნაწილო ჯგუფებს).

პედაგოგთა დასახმარებლად

უნდა გავითვალისწინო დროითი ფაქტორი. მესამე ფაზაზე მიცემული დავალებების შესრულებასაც გარკვეული დრო სჭირდება და ამ დავალებების წარმოდგენა-გადამოწმებასაც. შესაბამისად, 45-წუთიან გაკვეთილში შესაძლოა ამის მოსწრება გაჭირდეს. გაცნობიერებული მაქვს, რომ სრულფასოვნად ასე დაგეგმილი გაკვეთილის წარმართვისთვის ორი 45 წუთი გახდეს აუცილებელი. მთავარია, არ გამიტაცოს გაკვეთილის ე.წ. „სასიამოვნო მომენტებმა“ (როდესაც ყველაფერი ძალიან კარგად მიდის, სწორედ იქაა ჩასაფრებული მასწავლებლის მტერი. ამ დროს მასწავლებელი ცდილობს, რომ ეს პროცესი გაწელოს, კიდევ მეტად წარმოჩინდეს გაკვეთილის ეს საუკეთესო მხარე. დრო კი გარბის და გაკვეთილის ლოგიკურ დასრულებას, შეჯამებას, რეფლექსიას ვეღარ მოვასწრებთ) და დროულად მოვაქციო გაკვეთილი დაგეგმილ კალაპოტში.

ყოველ შემთხვევაში, მესამე ფაზაზე აუცილებლად უნდა დამრჩეს დრო შეჯამებისა და რეფლექსიური შეკითხვებისთვის:

- რა ვისწავლეთ დღევანდელ გაკვეთილზე?
- რომელი ეპიზოდი დაგამახსოვრდათ გაკვეთილიდან?
- რა იყო რთული თქვენთვის? როგორ გაართვით თავი ამ სირთულეს?
- რა სიტუაციაში შეიძლება გამოვიყენოთ დღეს შესწავლილი საკითხი? ათვისებული უნარი?
- რატომ ურჩევდი მეგობარს ამ გაკვეთილზე დასწრებას?
- როგორ შეაფასებდით ჩვენს გაკვეთილს? ერთმანეთს? საკუთარ თავს? მასწავლებელს?
- და სხვა.

არ უნდა დამავიწყდეს მოსწავლეთა შეფასებაც. ეს იმას არ ნიშნავს, რომ მაინცდამაინც ბოლო ორი წუთის განმავლობაში გამოვაცხადო მოსწავლეთა საქები წინადადებები (ყოჩაღ! კარგად იმუშავე! მომეწონა შენი პრეზენტაცია...) და/ან ქულები (შვიდი, ცხრა, ათი, ათი, ცხრა...). არა. კარგი იქნება, თუ გაკვეთილის განმავლობაში ორი-სამი მოსწავლისთვის „დავდებ“ განმავითარებელ უკუკავშირს. სამაგალითოდ, შემოგთავაზებთ უკუკავშირს გაწაფული კითხვის კომპეტენციისთვის:

„თეონა, მომეწონა შენ მიერ წაკითხული მონაკვეთი. ზომიერი სიჩქარით წაიკითხე და ინტონაციაც შეესაბამებოდა პერსონაჟის განწყობას. მომეჩვენა, რომ რამდენიმე სიტყვის წაკითხვისას ორჯერ დაგჭირდა წაკითხვა. კარგი იქნება, თუ ასეთ „რთულ“ სიტყვებს ჯერ უხმოდ „გულში“ წაიკითხავ და მერე ხმამაღლა. ამ შემთხვევაში შესაძლოა, ცოტა შეყოვნდე, მაგრამ უშეცდომოდ გამოგივა წაკითხვა.“

ზოგადად, შეფასება ერთ-ერთი რთული კომპონენტია ქართული საგანმანათლებლო სისტემის და ამის შესახებ უფრო ვრცელი საუბარი იქნებოდა სასურველი.

გიორგი ჭაუჭიძე
მარნეულის №2 საჯარო სკოლის
ქართული ენისა და ისტორიის მასწავლებელი

Hüquqşünas məsləhəti

Məktəb müəllimiyəm, işə gecikdiyimə görə, ciddi töhmət aldım, buna qədər heç bir başqa gecikmə faktım olmamışdı, heç bir vaxt mənə intizam cəzası verilməmişdi. Birinci dəfəsində belə bir ciddi formanın tətbiq edilməsi nə dərəcədə ədalətlidir?

Müəllimlərin intizam işinin təsdiqlənməsi haqqında Əmrin 3-cü maddəsinə əsasən, intizam cəzasını şamil etdikdə, törədilən intizam xətasının məzmunu, törədilən intizam xətası ilə birbaşa əlaqədə olan ağırlıq dərəcəsinin nəticəsi nəzərə alınmalıdır. Düşünürsünüzsə ki, intizam komitəsinin qərarı ədalətli deyil, bu halda Qəyyumlar şurasına və ya Apelyasiya komitəsinə müraciət etməlisiniz (belə birinin olduğu halda). Eləcə də məktəbin daxili nizamnaməsində ətraflı şəkildə müəyyən edilmişdir ki, hansı xətaya görə şəxsə hansı cəza şamil edilməlidir.

Bildiyimiz kimi, 2019-cu ildən pensiya haqqında qanun qüvvəyə mindi. Toplanılan pensiya ilə faydalanmaq istəmirəm və elə bir mexanizm varmı ki, pensiya sxeminə cəlb olunmayım?

Toplanılan pensiya haqqında Qanunun 22-ci maddəsinə əsasən, qanunun fəaliyyətə düşməsinə qədər 40 yaşı tamam olmuş İşçi pensiya sxeminə cəlb olunmaq istəmədiyi halda, Pensiya Agentliyinə müraciət etməli və toplanılan pensiya sxeminə avtomatik üzv olduğundan 5 ay ərzində, amma üzv olduğundan ən tez 3 ay ərzində çıxmalıdır, əks halda, İşçi sxem iştirakçısı kimi qalır.

Mənə maraqlıdır ki, pensiya əlavəsini ödəmək kimin üçün icbaridir?

2019-cu ilin yanvarın 1-dən pensiya əlavəsini ödəmək hər bir işçiyə və onun xeyrinə bütün işəgötürənlərə və dövlətə şamil edilir. Pensiya haqqında qanunun qüvvəyə mindiyinə qədər 60 yaşı tamam olunan işçilər isə istisna olunurlar (qadınların halında – 55 yaş). Eləcə də özünü işlə təmin edənlər sxemə avtomatik olaraq cəlb olunmurlar.

Müəllimlərin peşəkar qovluğunda sənədlərin yerləşdirilməsi müddəti nə vaxta qədər uzadılır?

Elektron sistemdə müəllim üçün ayrılmış elektron məkanda müəllimin peşəkar qovluğuna onun tərəfindən sənədlərin yerləşdirilməsi müddəti 2018-ci ilin dekabrın 20-dən 2019-cu ilin 24 iyun daxil olmaqla müəyyən edilmişdir.

Material Gürcüstan Müəllimləri və Alimlərinin Azad Həmkarlar İttifaqının hüquqşünası Eter Kutibaşvili tərəfindən hazırlanmışdır

Tərcüməçi – Qızxanım Əhmədova

იურისტის კონსულტაცია

ვარ სკოლის პედაგოგი, სამსახურში დაგვიანების გამო გამომეცხადა სასტიკი საყვედური, მანამდე დაგვიანების სხვა ფაქტი არ ყოფილა, არასდროს მძონია დაკისრებული დისციპლინური სახდელი. რამდენად სამართლიანია პირველივე ჯერზე ასეთი მკაცრი ფორმის გამოყენება?

მასწავლებელთა დისციპლინური წარმოების წესის დამტკიცების შესახებ ბრძანების მე-3 მუხლის მიხედვით, დისციპლინური სახდელის დაკისრებისას, გათვალისწინებული უნდა იქნეს ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის შინაარსი, სიმძიმის ხარისხის ის შედეგი, რაც პირდაპირ კავშირშია ჩადენილ დისციპლინურ გადაცდომასთან. თუ თვლით, რომ დისციპლინური კომიტეტის გადაწყვეტილება არასამართლიანია, უნდა მიმართოთ სამეურვეო საბჭოს ან სააპელაციო კომიტეტს (ასეთის არსებობის შემთხვევაში). ასევე სკოლის შინაგანაწესში დეტალურად არის ხოლმე განსაზღვრული, თუ რომელი გადაცდომისთვის, რომელი სახდელი უნდა შეეფარდოს პიროვნებას.

როგორც ვიცი, 2019 წლიდან ამოქმედდა პენსიის შესახებ კანონი. არ მსურს, რომ ვისარგებლო დაგროვებითი პენსიით. თუ არსებობს რაიმე გერკეტი, რომ არ ჩავერთო საპენსიო სქემაში?

დაგროვებითი პენსიის შესახებ კანონის 22-ე მუხლის თანახმად, დასაქმებულმა, რომელსაც აღნიშნული კანონის ამოქმედებამდე შეუსრულდა 40 წელი და არ სურს, რომ იყოს ჩართული საპენსიო სქემაში, უნდა მიმართოს საპენსიო სააგენტოს და გავიდეს დაგროვებითი საპენსიო სქემიდან, ავტომატურად გაწევრებიდან 5 თვის ვადაში, მაგრამ არაუადრეს გაწევრებიდან 3 თვისა. წინააღმდეგ შემთხვევაში, დასაქმებული რჩება მონაწილედ.

მაინტერესებს, ვისთვის არის სავალდებულო საპენსიო შენატანის გადახდა?

2019 წლის პირველი იანვრიდან საპენსიო შენატანის გადახდა ევალება ყველა დასაქმებულს და მის სასარგებლოდ ყველა დამსაქმებელს და სახელმწიფოს, გარდა იმ დასაქმებულისა, რომელსაც საპენსიო კანონის ამოქმედებამდე შეუსრულდა 60 წელი (ქალის შემთხვევაში – 55 წელი). ასევე თვითდასაქმებულები არ ერთვებიან სქემაში ავტომატურად.

მასწავლებლთა პროფესიულ საქაღალდეში დოკუმენტების განთავსების ვადა რომელ რიცხვამდე გრძელდება?

მასწავლებლის მიერ, ელექტრონულ სისტემაში მისთვის განკუთვნილ ელსივრცეში, მასწავლებლის პროფესიულ საქაღალდეში დოკუმენტების განთავსების ვადად განსაზღვრულია 2018 წლის 20 დეკემბრიდან 2019 წლის 24 ივნისის ჩათვლით პერიოდი.

მომზადებულია სპმთპ-ს იურისტის, ეთერ კუტიბაშვილის მიერ

Իրավաբանի խորհրդատվություն

Դպրոցի մանկավարժ եմ: Աշխատանքից ուշանալու պատճառով ինձ հայտարարվել է խիստ նկատողություն: Մինչ այդ ուշացման ոչ մի փաստ չի արձանագրվել, երբեք իմ նկատմամբ չի սահմանվել կարգապահական պատիժ: Որքանո՞վ արդարացի է հենց առաջին անգամին պատժի նման խիստ ձևի կիրառումը:

Համաձայն Ուսուցիչների կարգապահական վարույթի կարգի հաստատման մասին հրամանի 3-րդ հոդվածի, կարգապահական պատժի սահմանման ժամանակ պետք է նախատեսվի թույլ տրված կարգապահական խախտման բովանդակությունը, ծանրության աստիճանի այն հետևանքը, ինչն ուղղակի կապի մեջ է թույլ տրված կարգապահական խախտման հետ: Եթե համարում եք, որ կարգապահական հանձնաժողովի որոշումը անարդարացի է, պետք է դիմեք հոգաբարձուների խորհրդին կամ բողոքարկման հանձնաժողովին (այսպիսինի գոյության դեպքում): Բացի այդ, Դպրոցի ներքին կանոնակարգում սովորաբար մանրամասնորեն սահմանված է, թե որ խախտման համար որ պատիժը պետք է սահմանվի անձի նկատմամբ:

Ինչպես հայտնի է ինձ, 2019 թվականից ուժի մեջ է մտել Կենսաթոշակի մասին օրենքը: Ցանկություն չունեմ օգտվել կուտակային կենսաթոշակից, գոյությո՞ւն ունի արդյոք որևէ լծակ, որ չներգրավվեմ Կենսաթոշակային սխեմայի մեջ:

Համաձայն Կուտակային կենսաթոշակի մասին օրենքի 22-րդ հոդվածի, այն աշխատողը, ում 40 տարին լրացել է մինչև տվյալ օրենքի գործարկումը, և նա չի ցանկանում, որ ինքը ներգրավված լինի Կենսաթոշակային սխեմայի մեջ, պետք է դիմի Կենսաթոշակի գործակալություն և դուրս գա Կուտակային կենսաթոշակային սխեմայից, նրան ավտոմատ կերպով անդամագրելուց հետո 5 ամսվա ժամկետում, սակայն ոչ ավելի վաղ, քան անդամագրումից 3 ամիս հետո: Հակառակ դեպքում աշխատողը մնում է Սխեմայի մասնակից:

Ինձ հետաքրքրում է, թե ո՞ւմ համար է պարտադիր կենսաթոշակային վճարման կատարումը:

2019 թվականի հունվարի մեկից կենսաթոշակային վճարում պարտավոր են կատարել բոլոր աշխատողները և նրանց օգտին՝ նաև բոլոր գործատուները և պետությունը, բացառությամբ այն աշխատողի, ում 60 տարին լրացել է մինչև Կենսաթոշակային օրենքի ուժի մեջ մտնելը (կանանց դեպքում՝ 55 տարին): Ինչպես նաև՝ ինքնազբաղվածները ավտոմատ կերպով չեն ներգրավվում Սխեմայի մեջ:

Ուսուցիչների մասնագիտական թղթապանակում փաստաթղթերի զետեղման ժամանակահատվածը մինչև ամսի քանի՞սն է շարունակվում:

Ուսուցչի կողմից էլեկտրոնային համակարգում իր համար հատկացված էլտիրույթում ուսուցիչների մասնագիտական թղթապանակում փաստաթղթերի զետեղման ժամանակահատված է սահմանված 2018 թվականի դեկտեմբերի 20-ից մինչև 2019 թվականի հունիսի 24-ը ներառյալ:

Նյութը պատրաստվել է Վրաստանի մանկավարժների և գիտնականների ազատ արհմիությունների իրավաբան Էթեր Կուտիբաշվիլիի կողմից

Թարգմանությունը՝ Զոյա Մխիթարյանի

სამოდელო გაკვეთილი

1921 წლის 25 თებერვალი

მასწავლებლის სახელი, გვარი: ფაქიზო ფანჩულიძე-კუჭავა
საგანი: ქართული ენა
სწავლების საფეხური: საბაზო საფეხურის VII კლასი
მოსწავლეთა რაოდენობა: 25
გაკვეთილის თემა: 1921 წლის 25 თებერვალი
გაკვეთილის მიზანი: მოსწავლეები, სახელმძღვანელოში მოცემული ლირიკული და პუბლიცისტური ქმნილებებით და მოძიებული ისტორიული მასალებით, შეძლებენ 1921 წლის 25 თებერვლის ისტორიული მოვლენის გააზრება-გაანალიზება-შეფასებას.

№	აქტივობის აღწერა	მეთოდი/ მეთოდები	კლასის ორგანიზების ფორმები	სასწავლო რესურსები	დრო	თითოეული აქტივობის ბოლოს მისაღწევი შედეგი
1	2	3	4	5	6	7
1	საორგანიზაციო საკითხები, მოსწავლეთა აღრიცხვა	ვერბალური	მთელი კლასი	საკლასო ჟურნალი, საწერკალამი	1წთ	მოსწავლეები მოწესრიგებულნი არიან გაკვეთილისათვის.
2	გაკვეთილის თემის, მიზნისა და შეფასების რუბრიკების გაცნობა	დემონსტრირება	მთელი კლასი	დაფა, ცარცი, ფლიფჩარტის ფურცელი, მარკერი, წებოვანა	1წთ	მოსწავლეებს ეცოდინებათ გაკვეთილის მიზანი, შეფასების კრიტერიუმები.
3	გამოწვევის ფაზა (დამოუკიდებელი საქართველოს ძველი ჰიმნის მოსმენით)	ყინულის გადნობა, გონებრივი იერიში	მთელი კლასი	კომპიუტერი, პროექტორი, დინამიკები	1წთ	მოსწავლე მართებულად უპასუხებს კითხვებს.
4	მასწავლებლის მინი-ლექცია	მინი-ლექცია დროის დიაგრამის გამოყენებით	ინდივიდუალურად	დაფაზე წინასწარ გამზადებული დროის ღერძი	5წთ	მოსწავლეები მიიღებენ ცოდნას და გაიაზრებენ XXს-ის დასაწყისის, კერძოდ 1914 წლიდან 1918 წლამდე, საქართველოში მიმდინარე ისტორიულ მოვლენებს.
5	საშინაო დავალება	პრეზენტაცია	ჯგუფური	კომპიუტერი, პროექტორი	10წთ	მოსწავლეები გააანალიზებენ ლექსში და პუბლიცისტურ წერილში აღნერილი ისტორიული პერიოდის მნიშვნელოვან ასპექტებს, გაეცნობიან საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკას XX საუკუნის დასაწყისში, საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის შექმნის ისტორიას და 1921 წლის 25 თებერვლის ისტორიულ მოვლენას.
6	ლიტერატურული შედევრებისა და პუბლიცისტური წერილის აუდიტორიის წინაშე გამომეტყველებით წაკითხვა და ანალიზი	გამომეტყველებითი წაკითხვა და სურათის აღწერა	ჯგუფური, ინდივიდუალური I ჯგ. – ლექსი 1921წ 25/II – კოლაუ ნადირაძე II ჯგ. – კოტე მაყაშვილის ლექსი III ჯგ. – პუბლიცისტური წერილი, გაზეთი „24 საათი“ – „დაუმარცხებელი ასეული“ 20/03/2010წ	წინასწარ ჯგუფის მიერ შექმნილი ნახატი	10წთ	მოსწავლეები აუდიტორიის წინაშე შეძლებენ ლექსის, პუბლიცისტური წერილის გამომეტყველებით წაკითხვას, ანალიზს და სურათის აღწერას.
7	გრამატიკული დავალება	აქტივობის ბარათები	ჯგუფური (4 ჯგუფი)	აქტივობის ბარათები, მარკერი	6წთ	მოსწავლეები შეძლებენ დავალების შესრულებას მართლწერის წესებისა და ენობრივი ნორმების დაცვით.
8	ფასეულობათა გადაფასება	ინტერვიუების ანალიზი	ჯგუფური (4 ჯგუფი)	წინასწარ ჩამორთმეული ინტერვიუები, წერილობით	5წთ	გაეცნობიან სხვადასხვა თაობის წარმომადგენელთა შეხედულებებს და შეფასებებს 1921 წლის 25 თებერვლის მიმართ.
9	გაკვეთილის შეჯამება – დღის ფრაზა	3.2.1.	ინდივიდუალური	დაფა, ცარცი, ფლიფჩარტი, მარკერი	3წთ	მოსწავლეები გაიაზრებენ გაკვეთილის მიზანს და დაადგენენ ამ მიზნის მიღწევის დონეს, შეაჯამებენ განვლილ მასალას.
10	საშინაო დავალება	გამოკვეთილი დღის ფრაზით თხზულების დაწერა, სიტყვები	ინდივიდუალური	რვეული, საწერი კალამი	1წთ	მოსწავლეები შეძლებენ წერილობითი ტექსტის შექმნას.
11	შეფასება განმსაზღვრელი განმავითარებელი	ვერბალური	ჯგუფური, ინდივიდუალური	წინასწარ გამზადებული, მოსნავლეებთან შეთანხმებული შეფასების რუბრიკები	2წთ	მოსწავლეები დაინახავენ თავიანთ ძლიერ და სუსტ მხარეებს, საჭიროებებს.

გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი შედეგები:

ქართ. VII.1. მოსწავლეს შეუძლია უცნობი ინფორმაციის შემცველი ტექსტების მოსმენა და ზეპირი ინფორმაციის წარმოდგენა აუდიტორიის წინაშე.
• ამოიცნობს მთავარ აზრს მოსმენილი ინფორმაციიდან და დასკვნის სახით წარმოადგენს მას აუდიტორიის წინაშე;
• შეარჩევს თემას ზეპირი გამოსვლისათვის, ამზადებს გამოსვლას და წარმოადგენს აუდიტორიის წინაშე.

ქართ. VII.7. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სახის მხატვრული და არამხატვრული ტექსტების გააზრება-გაანალიზება, მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა.
• კითხულობს მხატვრულ და არამხატვრულ ტექსტებს სხვადასხვა მიზნით (შესწავლის, ესთეტიკური სიამოვნების მიღების, გარკვეული ინფორმაციის მოძიების, გამოხმაურების, შეფასების);
• საუბრობს იმის შესახებ, რაზე დააფიქრა წაკითხულმა, რა იყო ტექსტში მისთვის ნაცნობი და გასაგები, რა – უცნობი და გაუგებარი.

ქართ. VII.8. მოსწავლეს შეუძლია ამოიცნოს და შეაფასოს ტექსტის შესაბამისობა კონკრეტულ მიზანსა და აუდიტორიასთან.
• ამოიცნობს ტექსტის მიზანს (რისთვის არის დაწერილი – მკითხველის ინფორმირების, გართობის თუ დარწმუნებისათვის) და აუდიტორიას (ვისთვის არის განკუთვნილი);
• განსაზღვრავს საგაზეთო მასალის ძირითად იდეას და განმარტავს, რა ხერხებს იყენებს ავტორი ძირითადი იდეის წარმოსაჩენად (ეფექტური სათაური, მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხები, სტატისტიკური მონაცემები და სხვ.).

ქართ. VII.11. მოსწავლეს შეუძლია წერილობითი ტექსტების შექმნა სხვადასხვა მიზნით.
• წერს თხრობითი ხასიათის ტექსტებს (მაგალითად, საკუთარ ან სხვის ბიოგრაფიას, რეალურ ან გამოგონილ ისტორიას მისთვის საინტერესო თემებზე, ლიტერატურული ნაწარმოების ან მის მიერ გამოგონილი პერსონაჟის თავგადასავალს);
• წერს სარეკლამო ტექსტს (თანაკლასელების მიერ შექმნილ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშებისთვის, ვიდეორგოლებისთვის, ფოტოგამოფენისთვის, სასკოლო ღონისძიებისთვის და სხვ.).

ქართ. VII.13. მოსწავლეს შეუძლია წერილობითი ტექსტის ორგანიზაციის წესებისა და ენობრივი ნორმების დაცვა.
• სწორად იყენებს აბზაცს და სხვა სტრუქტურულ მახასიათებლებს (სათაურს, ქვესათაურს და ა.შ.);
• თანამიმდევრულად აგებს თხრობას, სწორად იყენებს ერთი ნაწილიდან მეორეზე გადასვლის აღმნიშვნელ სიტყვებს (მაგ., ჯერ, შემდეგ, ბოლოს...);
• იცავს მართლწერისა და პუნქტუაციის წესებს.

მოსწავლეთა შეფასება გაკვეთილის მსვლელობისას

№	გვარი	სახელი	მზაობა				მონაწილეობა				თანამშრომლობა				ახალი მიდგომების მიმღებლობა			
			არადამაკმაყოფ.	დამაკმაყოფ.	კარგი	ძალიან	არადამაკმაყოფ.	დამაკმაყოფ.	კარგი	ძალიან	არადამაკმაყოფ.	დამაკმაყოფ.	კარგი	ძალიან	არადამაკმაყოფ.	დამაკმაყოფ.	კარგი	ძალიან
1	ალერწიანი	გიორგი																
2	ბაბუნაშვილი	ზურაბ																
3	ბენდელიანი	შარლი																
4	ბენდელიანი	ლუკა																
5	გავაშელიშვილი	ვერონიკა																
6	გახოკია	მარიამ																
7	ედიბერიძე	თათია																
8	ვაწაძე	მარიამ																
9	თუთბერიძე	ლუკა																
10	იოსელიანი	ზურაბი																
11	კუტივაძე	გიორგი																
12	კუჭავა	გიორგი																
13	მიკირტიჩიანი	ალექსი																
14	მურღვლიანი	ლუკა																
15	მუსელიანი	თამარი																
16	სებისკვერაძე	ალექსანდრე																
17	უგრეხელიძე	ქრისტინე																
18	ფერცულიანი	გიორგი																
19	ქომეთიანი	ვახტანგი																
20	ყურაშვილი	გვანცა																
21	შალამბერიძე	ირაკლი																
22	ჩაკვეტაძე	საბა																
23	ჩეგიანი	ანანო																
24	ჭულუხაძე	დიმიტრი																

სამოდელო გაკვეთილი

VII კლასი – ჯგუფური მუშაობის შეფასების რუბრიკა
(რუბრიკა შექმნილია განმავითარებელი შეფასებისათვის)

კრიტერიუმი	ძალიან კარგი	კარგი	საშუალო	დაბალი
ჯგუფის მიერ სამუშაოს ორგანიზება	სამუშაო კარგად იყო ორგანიზებული, ჯგუფის წევრებს შორის ფუნქციები სწორად და თანაბრად გადანაწილდა.	სამუშაო ორგანიზებული იყო, მაგრამ ჯგუფის წევრებს შორის ფუნქციები არათანაბრად იყო გადანაწილებული.	სამუშაო ნაწილობრივ იყო ორგანიზებული და ჯგუფის წევრებს შორის ფუნქციები არათანაბრად გადანაწილდა.	სამუშაო არ იყო ორგანიზებული, ჯგუფის წევრებს შორის ფუნქციები არ განაწილებულა.
თანამშრომლობა	ჯგუფის ყველა წევრი იყო აქტიური და სამუშაო ნაყოფიერი, ჯგუფის წევრებს შორის იყო პოზიტიური და საქმიანი ურთიერთობები.	ჯგუფის თითქმის ყველა წევრი იყო აქტიური, ჯგუფის წევრებს შორის ძირითადად იყო პოზიტიური ურთიერთობები.	აქტიურობდა მხოლოდ ერთი-ორი მოსწავლე, ჯგუფის აქტიურ წევრებსა და პასიურ წევრებს შორის ზოგჯერ ურთიერთობები იძაბებოდა.	ჯგუფის წევრები არ აქტიურობდნენ, ჯგუფის წევრებს შორის არ შეინიშნებოდა თანამშრომლობითი გარემო.
დროის ლიმიტი	საუკეთესოდ მოახერხეს დროის ლიმიტის დაცვა.	საუკეთესოდ მოახერხეს დროის ლიმიტის დაცვა.	გაუჭირდათ დროის ლიმიტის დაცვა.	ვერ დაიცვეს დროის ლიმიტი.
პრეზენტაცია ისტ-ის გამოყენებით	პრეზენტაცია არის სრულყოფილი, ინსტრუქციის შესაბამისი. ჩანს საკითხში წვდომა, არ საჭიროებს დამატებით კითხვებს. ვიზუალურად კარგად გამოიყურება.	პრეზენტაცია კარგია, ინსტრუქციის შესაბამისი. ჩანს, რომ მოსწავლეებმა კარგად გაიაზრეს დავალება. ვიზუალურად კარგად გამოიყურება.	წარმოდგენილი პრეზენტაცია საჭიროებს მასწავლებლის დახმარებას, დამაზუსტებელი კითხვების დასმას. ვიზუალურად დამაკმაყოფილებელია.	მოსწავლეებს გაუჭირდათ პრეზენტაციის წარდგენა აუდიტორიასთან. ვიზუალურად ნაშრომი დაუსრულებელია.
გრამატიკული დავალება აქტივობის ბარათებით	ჯგუფმა დავალება ძალიან კარგად შეასრულა.	ჯგუფმა დავალება კარგად გააცნობიერა.	დავალება ნაწილობრივ შეასრულა.	ჯგუფმა დავალება ვერ გააცნობიერა.
ფასეულობათა გადაფასება	მოსაზრებებს ძალიან კარგად, არგუმენტირებულად გადმოსცემენ.	მოსაზრებებს კარგად, არგუმენტირებულად გადმოსცემენ.	მოსაზრებებს კითხვებზე ნაწილობრივ პასუხობენ.	მოსაზრებებს კითხვებზე ვერ პასუხობენ.

გაკვეთილში ჩართულობის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა

სკალა / კრიტერიუმები	1-3	4-6	7-8	9-10
აქტიური მონაწილეობა	იშვიათად ან საერთოდ არ მონაწილეობს.	ხშირად სწევს ხელს, წამოიძახებს პასუხებს.	თითქმის ყოველთვის მონაწილეობს.	ყოველთვის მონაწილეობს და ხშირად წარმართავს კიდეც საკლასო მსჯელობას. ყველა ფაზაში ჩართულია.
პრეზენტაცია ისტ-ის გამოყენებით	ტექსტი არა აქვს გააზრებული და ცოდნა ფრაგმენტულია.	ტექსტი გააზრებული აქვს, მასწავლებლის დახმარებით ახდენს ფაქტების აღწერას.	ტექსტი კარგად აქვს გააზრებული, ფაქტებზე საუბრობს, მაგრამ ვერ ახერხებს ქრონოლოგიური თანმიმდევრობის დაცვას.	ტექსტი საფუძვლიანად იცის, ყოველთვის იცავს ქრონოლოგიურ თანმიმდევრობას და ფაქტებს აღწერს სწორად.
ლექსისა და ტექსტის გამომეტყველებით წაკითხვა და ანალიზი	არ იცავს მართლმეტყველების ელემენტარულ წესებს, არ კითხულობს გამომეტყველებით ტექსტს ან ლექსს.	საუბრობს მეტნაკლებად გამართულად, ნაკლებად კითხულობს ტექსტს ან ლექსს.	გამართულად მეტყველებს. კარგად იყენებს გრამატიკულ კონსტრუქციებს, გამომეტყველებით კითხულობს ტექსტს ან ლექსს.	აქვს მდიდარი ლექსიკა და შემოქმედებითად იყენებს ენობრივ გამომსახველობით საშუალებებს, ძალიან კარგად კითხულობს გამომეტყველებით ტექსტს ან ლექსს.

ინტერვიუს კითხვები:

1. როგორ აფასებთ 1921 წლის 25 თებერვალს, როგორც ისტორიულ ფაქტს?
2. როგორ აფასებდნენ ამ ფაქტს საბჭოთა ეპოქაში?
3. როგორ ვაფასებთ ამ ფაქტს დღეს?
4. რა ზიანი მიაყენა ამ ისტორიულმა მოვლენამ საქართველოს?
5. რა შეგიძლიათ თქვათ 1921 წლის 25 თებერვლის გმირებზე?

გაკვეთილის რეფლექსია

1921 წლის 25 თებერვლის საბჭოთა ოკუპაციის დღესთან დაკავშირებით, გადავწყვიტე, საუკუნის წინ განვითარებული ტრაგიკული ისტორიული მოვლენების შესწავლის, ფასეულობათა გადაფასების, შეჯამების, მხატვრული და არამხატვრული ტექსტების, საგაზეთო მასალის წაკითხვა-გაანალიზებისა და მათში ძირითადი იდეის ამოცნობის მიზნით, გამჭოლი კომპეტენციების განვითარებაზე ორიენტირებული გაკვეთილი ჩამეტარებინა.

ვფიქრობ, აღნიშნული გაკვეთილი სარგებლის მიმცემი იყო როგორც პედაგოგებისთვის, ასევე მოსწავლეებისთვის.

დამსწრე პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ რიგ მათგანს არ ჰქონდა ნანახი ახალი ტიპის სამოდელო გაკვეთილი, კერძოდ, გამჭოლი კომპეტენციების უნარების განვითარებაზე ორიენტირებული გაკვეთილი. მათ განსაკუთრებით მოეწონათ აქტივობა „მინი-ლექცია“ დროის ხაზის გამოყენებით და აქტივობა „ფასეულობათა გადაფასება“, რომელშიც ინტერვიუები ერთმა ჯგუფმა მშობლებს, ბებია-ბაბუებს ჩამოართვა, მეორე ჯგუფმა – სკოლის პედაგოგებს, მესამე ჯგუფმა – მოსწავლეებს. მერე ინტერვიუები შეაჯამეს და ანალიზი აქტივობით „ფასეულობათა გადაფასება“ წარმოადგინეს.

გაკვეთილზე მისაღწევი მიზანი VII კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტის საფუძველზე დავისახე, VII კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოში მოცემულ ლირიკულ და პუბლიცისტურ შედევრებზე დაყრდნობითა და მოძიებული ისტორიული მასალების გამოყენებით.

ფაქიზო ფანჩულიძე-კუჭავა
წყალტუბოს №1 საჯარო სკოლის დირექტორი,
ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

ინკლუზიური განათლება

სპეცმასწავლებლის როლი სკოლებში ინკლუზიური განათლების პრინციპების დანერგვის საქმეში

ინკლუზიური განათლების პროცესში აუცილებელი პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება

➢ ინკლუზიური განათლება გულისხმობს ყველა ტიპის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების ჩართვას სასწავლო პროცესში, თანატოლებთან ერთად.

➢ ბავშვები შეიძლება იყვნენ განსხვავებულები მრავალი მიზეზის გამო. განმასხვავებელი ნიშნები მოიცავს ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა: სოციალური, კულტურული, რელიგიური, ეკონომიკური მდგომარეობა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სიძნელეები. განსხვავებულობა, ხშირად, ერთ-ერთი პირდაპირი თუ არაპირდაპირი წინაპირობაა იმ სიძნელეების, რომლებსაც ბავშვები სწავლის დროს აწყდებიან. ამ სიძნელეების მთავარ განმაპირობებელ მიზეზს წარმოადგენს გარემო, სწავლების არადამაკმაყოფილებელი მეთოდები და მიდგომა.

სპეცმასწავლებლის როლი სკოლებში

➢ უკვე აღვნიშნეთ, რომ ინკლუზიური განათლება გულისხმობს ყველა ტიპის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეების ჩართვას ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროცესში, თანატოლებთან ერთად. ინკლუზიური განათლება, ასევე, გულისხმობს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეების ინდივიდუალური და/ან მოდიფიცირებული სასწავლო გეგმებით სწავლებას. ამიტომ ინკლუზიურ განათლებას დღეს მოიხსენიებენ, როგორც განათლებას ყველასთვის.

➢ ინკლუზიური განათლების პრაქტიკაში დანერგვის თვალსაზრისით, საქართველოში საინფორმაციო ვაკუუმია, სპეცმასწავლებელმა ეს ვაკუუმი უნდა შეავსოს.

➢ ამ საინფორმაციო ვაკუუმის გადალახვის გზაზე გადადგმული ერთ-ერთი პირველი ნაბიჯია ბერიტ ჯონსენისა და მარიამ სკორტენის წიგნის „გზა ინკლუზიისკენ“ (ქართული თარგმანის) გაცნობა.

➢ არ შეიძლება სპეცმასწავლებელი იქცეს რეპეტიტორად, ის სსსმ მოსწავლეებთან მხოლოდ ბაზისური აკადემიური უნარების განმტკიცებაზე მუშაობს. სამწუხაროა, რომ ბევრ მასწავლებელს ჰგონია, თითქოს სპეცმასწავლებელმა სსსმ მოსწავლე უნდა გაიყვანოს რესურსოთახში და იქ უნდა იმუშაოს მასთან. სპეცმასწავლებელი უნდა მუშაობდეს საგაკვეთილო პროცესის ბოლოს ან გაკვეთილზე უწევდეს მასწავლებელს ასისტირებას და ეს დრო თანდათან უნდა შეამციროს.

➢ სპეცმასწავლებელი ჩვეულებრივი მასწავლებელია, რომელიც სრული დატვირთვით მუშაობს – 18 საგაკვეთილო პროცესი კვირაში. სპეცმასწავლებელსაც აქვს უფლება, იმუშაოს სხვა სკოლაში, თუ საგაკვეთილო ცხრილი არ გადაფარავს ერთმანეთს.

ნუ მიბაძავთ სხვებს, იპოვეთ საკუთარი თავი...

➢ დღეს საზოგადოების ცნობიერების დონე მნიშვნელოვნადაა ამაღლებული და ის სტერეოტიპები, რომ შშმ ან სსსმ ბავშვი ვერ ისწავლის, ვერ მიაღწევს წარმატებას ან საშიშია საზოგადოებისთვის, აღარ არსებობს.

წლების წინ კი არც ამდენი საშუალება იყო და თითქმის უმეტეს ოჯახებში მალავდნენ, რომ შშმ ბავშვი ჰყავდათ. სამწუხაროდ, დღესაც არის ერთეული შემთხვევები... ამიტომ არ არსებობს ზუსტი სტატისტიკა, რამდენი შშმ პირია საქართველოში.

ცხოვრება ბავშვთა სახლში...

„როცა ბედი ლიმონს გჩუქნით, შეეცადეთ მისგან ლიმონათი გააკეთოთ“ – დეილ კარნეგის ეს სიტყვები გამახსენდა, როდესაც ბათუმში, 26 მაისის ქუჩაზე მდებარე, მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლს ვესტუმრეთ (ჩემი სკოლის რამდენიმე მოსწავლე, მათ შორის სსსმ, ამ ბავშვთა სახლის ბენეფიციარია).

ბევრ ოჯახს შეშურდება ისეთი ერთსულოვნება, ერთმანეთის სიყვარული და პატივისცემა, რაც იქ ვნახე...

ყველაზე მეტად კი იმ ამბავმა დამაფიქრა, რომ გავიგე, ეს ბავშვები ამ სახლში მხოლოდ 18 წლამდე შეძლებენ ცხოვრებას, შემდეგ კი უნდა დატოვონ სახლი და დამოუკიდებლად გააგრძელონ ცხოვრება... დიდი იმედი მაქვს, სახელმწიფო შემდგომშიც იზრუნებს მათზე და ბედის ანაბარა, ქუჩაში არ დატოვებს ამ ბავშვებს.

სმენის არმქონე ბავშვების განათლება

➢ ჩვენ ირგვლივ იბადებიან ადამიანები, რომლებსაც აქვთ სმენასთან დაკავშირებული პრობლემები, ზოგს ნაწილობრივ არ აქვს სმენა და ზოგი სმენის არმქონეა.

➢ ისინიც ჩვეულებრივი ადამიანები არიან და ისევე უნდა გვესმოდეს მათი საუბარი, როგორც ახლა გვესმის ერთმანეთის.

➢ მათთან ურთიერთობისათვის კი, აუცილებელია, კომუნიკაციის დონეზე მაინც, ვისწავლოთ ჟესტური ენა.

➢ მე ბედნიერი ვარ, რომ მომეცა საშუალება და თავისუფალ სივრცეში ვსწავლობ ჟესტურ ენას.

➢ პალინა ჯაღათაშვილი სმენის არმქონე ბავშვთა და მოზარდთა პრობლემებზე მუშაობს, მას ჰყავს სურდო თარჯიმანი მზია მელაძე.

იარლიყები და სტერეოტიპები, ტერმინების სწორი ფორმით გამოყენება

სამწუხაროდ, არსებობს ტერმინები, რომლებიც სამედიცინო ტერმინებშია შემორჩენილი, მაგრამ სოციალურ კონტექსტში არ ვხმარობთ, ამიტომ, შშმ პირებთან ურთიერთობის და მიმართვის დროს, აუცილებელია გამოვიყენოთ სწორი ფორმები:

➢ უნარშეზღუდული/ინვალიდი – შეზღუდული შესაძლებლობის მქონე;

➢ ყრუ/ყრუ-მუნჯი – სმენადაქვეითებული/სმენის არმქონე;

➢ ეტლს მიჯაჭვული – ეტლით მოსარგებლე;

➢ ბრმა – უსინათლო/მცირემხედველი.

ლალი ჯაფარიძე
სსიპ ბათუმის მე-4 საჯარო სკოლის სპეცმასწავლებელი,
ინკლუზიური სწავლების ფსიქოლოგი

სამოდელო გაკვეთილი

გამჭოლი კომპეტენციების (წიგნიერება) განვითარებაზე ორიენტირებული სამოდელო გაკვეთილის გეგმა

15.12.2017-18 ს.წ. გაკვეთილის თემა	**მწერლის მიზანი სხვადასხვა ჟანრისა და ეპოქის ტექსტებში (ჰაგიოგრაფია და მე-20 საუკუნის ტექსტები)**
სწავლების საფეხური, კლ.	საშუალო საფეხური, მე-10კლ.
მოსწავლეთა რაოდენობა	29
გაკვეთილის დროითი ჩარჩო	45წთ
გაკვეთილის მიზნები	**1. სხვადასხვა ეპოქისა და ჟანრის ტექსტების შედარების საფუძველზე მწერლის მიზნის გამოკვეთა.** **2. გამჭოლი კომპეტენციების ჩამოყალიბება მოსწავლეებში; 21-ე საუკუნის უნარების დახვეწა.**
მოსალოდნელი შედეგები	მოსწავლეები ✔ კიდევ ერთხელ ჩაუღრმავდებიან ჟანრობრივ მახასიათებლებს; ✔ შეძლებენ ძველი და ახალი ტექსტების შედარებასა და ავტორის მიზანდასახულობის გააზრებას ჟანრისა და ეპოქის კონტექსტში; ✔ შეძლებენ მსჯელობას, საკუთარი მოსაზრებების, ემოციების თავისუფლად გადმოცემას, რაც დაეხმარება მათ დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში ძველი თუ ახალი ტექსტების მიმართ; ✔ კოგნიტური სქემებით მოსწავლეებში გააქტიურდება მაღალი სააზროვნო უნარები; ✔ გარდა ამისა, მოსწავლეები იმუშავებენ გუნდურად, რაც დახვეწს მათ საკომუნიკაციო უნარ-ჩვევებს.
ესგ-ით განსაზღვრული მისაღწევი შედეგები და ინდიკატორები	**ქართ. X. 8.** მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა ჟანრის მხატვრული ნაწარმოებების, პუბლიცისტური თხზულებების წაკითხვა და მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა. შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე: • საუბრობს იმის შესახებ, თუ რაზე დააფიქრა მხატვრულმა თუ პუბლიცისტურმა თხზულებამ; • განმარტავს, რატომ წაიკითხა ან ვერ წაიკითხა თხზულება ინტერესით/გატაცებით; • საუბრობს იმის შესახებ, რამდენად შეესაბამება/არ შეესაბამება ის, რაც თხზულებაშია ასახული, მის პირად ცხოვრებისეულ გამოცდილებას ან შეხედულებებს. **ქართ. X. 9.** მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა ჟანრის მხატვრული ნაწარმოების გაანალიზება. • განსაზღვრავს ავტორის, მთხრობელის, პერსონაჟის პოზიციას ან ხედვის კუთხეს, რაც განაპირობებს ნაწარმოებში წარმოდგენილი ამბის/კონფლიქტის/პრობლემის ინტერპრეტაციას; • აკავშირებს მხატვრულ ნაწარმოებს ისტორიულ კონტექსტთან და თანამედროვეობასთან (მსჯელობს იმის შესახებ, თუ როგორ აისახა ისტორიული ვითარება, ეპოქის კულტურული და ლიტერატურული ტრადიციები ამა თუ იმ ნაწარმოებში).
გაკვეთილის ჩატარების წინაპირობა	მოსწავლეებს ნასწავლი უნდა ჰქონდეთ ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ტექსტები და წაკითხული უნდა ჰქონდეთ უახლესი ლიტერატურის ნიმუშები, რომელშიც ძველი ტექსტების პასაჟები თუ გმირებია წარმოდგენილი (შარლოტა კვანტალიანის „აბოს წამება“, ვასილ ბარნოვისა და ნოდარ წულეისკირის ნაწარმოებები, მეოცე საუკუნის პოეზიის ნიმუშები, რომლებიც ჰაგიოგრაფიულ ტექსტებსა თუ გმირებს ეხება). http://moscavleebs.blogspot.com/2017/11/blog-post_85.html http://moscavleebs.blogspot.com/2017/11/blog-post.html)
მსვლელობა ნაბიჯ-ნაბიჯ (აქტივობები და დრო)	**A ფაზა** **გაკვეთილის მიზნების გაცნობა (სლაიდი I).** **აქტივობა I – გამოწვევა.** ვსვამთ მაპროვოცირებელ შეკითხვებს: • რა ტიპის/ჟანრის ლიტერატურას კითხულობთ უფრო ხშირად? რატომ? • მცირე ჟანრს ანიჭებთ უპირატესობას თუ მაგალითად, რომანს? რატომ? • რა იზიდავს მკითხველს რომანში? **დრო** – 5 წთ **B ფაზა** **აქტივობა I – გონებრივი იერიშით – შეკითხვებითა და საილუსტრაციო მასალით ნასწავლის გამეორება-განმტკიცება.** **ა) აღწერეთ** ძველი და სხვადასხვა ეპოქის ხატები, ფრესკები, ნახატები, რომლებზედაც წმინდანებია გამოსახული (გაიხსენეთ... იხილეთ სლაიდები... რა თავისებურებები იკვეთება ქართულ ხატებზე? შეადარეთ „გარდამოხსნა“ კარავაჯოს, რაფაელის ნახატებსა და რუსულ ფრესკაზე... რა არსებითი გასხვავებაა და რა ინვევს ამ განსხვავებას?) **ბ)** მოგეწონათ თუ არა ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებები? (დააკონკრეტეთ, რა მოგეწონათ ან არ მოგეწონათ?) წაიკითხეთ ან ვერ წაიკითხეთ იგი ინტერესით? რატომ? **გ)** წაიკითხეთ თუ არა ვასილ ბარნოვის, ნოდარ წულეისკირის, შარლოტა კვანტალიანის ნაწამოებები გატაცებით და რატომ? კონკრეტულად რა მოგეწონათ ან რა არ მოგეწონათ? ხომ არ იყო რაიმე მიუღებელი თქვენთვის? რა? (მოსწავლეები გამოხატავენ ემოციებს, შეხედულებებს, აფიქსირებენ საკუთარ მოსაზრებებს) **დრო** – 5-7წთ **მასალა –** შესაბამისი სლაიდშოუ. **აქტივობა II – შეადარე!** მოსწავლეებს ვთხოვთ, წაიკითხონ ამონარიდი ჰაგიოგრაფიული ტექსტიდან და შემდეგ – ამონარიდი ადაპტირებული ტექსტიდან: *„ამ ადგილებში ზაფხულობით განსაკუთრებული სიცხეა და ცხელი ქარი იცის. წყალი მავნებელია. აქ მოსახლეობა დაავადებულია, შეშუპებული და გაყვითლებული, დაწინწკლული და დამჭკნარი და დამუნიანებული, დამუწუკებული, პირდასიებული და დღემოკლე; ამ მხარეში მოხუცებული არავინაა, და ასეთ პირობებში ექვსი წელი იყო შუშანიკი ბორკილდადებული და დატყვევებული და ადიდებდა ღმერთს.“* მოსწავლეები, წაიკითხავენ ამ მცირე ეპიზოდს და მის შესაბამის ფრაგმენტს ორიგინალიდან. მათ ვუსვამთ კითხვებს: რომელი ტექსტი უფრო ეფექტურია, ემოციური თვალსაზრისით? რომელი უფრო ექსპრესიულად მიგაჩნიათ? რომელი უფროა რიტმული და დინამიკური? რომელს აქვს განსაკუთრებული ჟღერადობა – მუსიკა? **დრო** – 5 წთ **მასალა** – სლაიდები
მსვლელობა ნაბიჯ-ნაბიჯ (აქტივობები და დრო)	**აქტივობა III – გუნდური მუშაობა** მოსწავლეები იყოფიან 5-6 ჯგუფად; დავურიგებთ ფურცლებს, ვაძლევთ საშუალებას, თუ სჭირდებათ, გადაშალონ წიგნებიც. დავალება: **იმსჯელეთ და ჩამოაყალიბეთ, რა არის მწერლის მიზანი და რა ხერხებითა თუ ფორმით ცდილობს მიზნის მიღწევას?** (ჟანრისა და ეპოქის გათვალისწინებით) ძველ და ახალ ტექსტში? (დაფასთან T დიაგრამაში ჩამოწერენ გუნდური მუშაობის შედეგებს). გუნდები მუშაობენ ტექსტებზე: ➢ „შუშანიკის წამება“, „აბო თბილელის წამება“, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“; ➢ შარლოტა კვანტალიანის პოემა; ➢ ნოდარ წულეისკირის რომანი; ➢ მეოცე საუკუნის ლექსები (ჰაგიოგრაფიული ნაწარმოეების გმირებსა თუ პასაჟებზე). დაფაზე, T დიაგრამით ან ზეპირად, მოსწავლეები აჯამებენ სათქმელს: 1. რაზე ამახვილებს ყურადღებას აგიოგრაფი და რაზე – მე-20 საუკუნის რომანისტი ან პოეტი? 2. როგორ, რა ხერხებით წარმოაჩენს სათქმელს ესა თუ ის ავტორი? **დრო** – 20-25წთ (მუშაობისთვის – 8, წარდგენისთვის – 12). **C ფაზა** **აქტივობა I – საშინაო დავალება:** 1. დაწერეთ ერთ-ერთი **თხზულება (ან ნაწყვეტი): ა) ეპოქა, ჟანრი და მწერლის მიზანი; ან ბ) უნდა იქმნებოდეს თუ არა ძველ ტექსტებზე დაყრდნობით ახალი ნაწარმოებები?** **2.** წაიკითხეთ ჰაგიოგრაფიულ თემაზე შექმნილი რომელიმე ნაწარმოები ლადო ალფენიძისა http://www.nplg.gov.ge/bios/ka/00005198/ (დავალება განთავსებული იქნება ბლოგზე – http://moscavleebs.blogspot.com/2017/12/15122017.html, რათა მოსწავლეებმა დრო არ დაკარგონ ამ ყველაფრის ჩანიშვნაზე). **აქტივობა II – შეფასება** ➢ მოსწავლეთა ურთიერთშეფასება „გაეცი პოზიტივი“ – მოსწავლეებმა უნდა დაასრულონ ფრაზა: **დღეს ყველაზე მეტად მომეწონა**..... (ასახელებენ მოსწავლეს) პასუხი, **რადგან მან** ..... (ასახელებენ ქმედებას: აქტიურობა, მსჯელობა, ჩართულობა და სხვა...) ➢ განმსაზღვრელი შეფასება (რუბრიკით) ➢ საჭიროების შემთხვევაში გამოვიყენებ განმავითარებელ, სიტყვიერ შეფასებას (დაკვირვების საფუძველზე). **აქტივობა III – რეფლექსია** **დღევანდელ გაკვეთილში** **1.** რა მოგეწონა? 2. რას შეცვლიდი? **დრო –** 5-7წთ
შეფასება	➢ განმავითარებელ სიტყვიერ შეფასებას მასწავლებელი აძლევს მოსწავლეს დაკვირვების საფუძველზე; ➢ მოსწავლეებს ურიგდებათ თვითშეფასების კითხვარები, რომლითაც აფასებენ საკუთარ თავს და გაწეულ სამუშაოს.
საკლასო მენეჯმენტი	დაფა, მარკერები, ფურცლები, კალმები, კომპიუტერი, პროექტორი და შესაბამისი სლაიდშოუ, ამობეჭდილი ფურცლები, რომლებზეც დავალებებია; შეფასების რუბრიკა.
საგანმანათლებლო რესურსები	გაკვეთილის ელექტრონული რესურსების შექმნისათვის გამოვიყენე: https://www.canva.com; გარკვეული მასალების მოსაპოვებლად – Googl-ის საძიებო სისტემა. ბმულები: http://mastsavlebeli.ge/?p=3618 https://burusi.wordpress.com/2009/11/14/ana-kalandadze-3/ http://mastsavlebeli.ge/wp-content/uploads/2015/12/lobjanidze.pdf

სამოდელო გაკვეთილის რეფლექსია

(მწერლის მიზანი სხვადასხვა ჟანრისა და ეპოქის ტექსტებში)

წიგნიერება, ჩემი აზრით, დღეს ყველაზე აქტუალური და პრიორიტეტული საკითხია. მოსწავლეთა ნაწილს საერთოდ არ უყვარს კითხვა, მეორე ნაწილი კი მხოლოდ ფენტეზისა და ბესტსელერებს ეტანება, დიდი-დიდი დეტექტივსაც გადაწვდეს. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, მოსწავლეებში აღვზარდოთ ნამდვილი მკითხველები და გამოვიწვიოთ მათი დაინტერესება ჩვენი ეროვნული, ძველი, ღირებული ტექსტებით. დამეთანხმებით, ეს არც თუ ისე იოლი საქმეა და ამ ხანგრძლივი პროცესის ერთ-ერთ საფეხურად შეიძლება განვიხილოთ დღევანდელი გაკვეთილი.

ჩემი აზრით ნებისმიერი საპროგრამო მასალა უცხო ტექსტების გარეშე „მკვდარია“. მოსწავლეთა ინტერესს სხვა ტექსტები უფრო იწვევს, ვიდრე სახელმძღვანელოში განთავსებული „სავალდებულო“. სწორედ ამიტომ მივეცი მათ კლასგარეშედ საკმაოდ მრავალფეროვანი მასალა. ვიმედოვნებდი, რომ რომელიმე მათგანი მაინც მოეწონებოდათ და ასეც მოხდა. ამ კუთხით მიზანს უკვე მივაღწიე, მაგრამ ეს მხოლოდ ზედაპირული „მიღწევაა“, რადგან მთავარი არა წაკითხვა, არამედ გააზრებაა. ამ კუთხით კი, მოსწავლეებს, პირველ რიგში, საკუთარი ემოციებისა და ვარაუდების გამოთქმის საშუალება უნდა მივცეთ და შემდეგ შევეცადოთ ტექსტის წვდომასა და პარალელების გავლებას, რაც, რასაკვირველია, უმნიშვნელოვანესია.

გაკვეთილი სწორედ ამ პრინციპით დავგეგმე და გამოწვევის ფაზიდან დაწყებული, მუდამ ვგრძნობდი, რომ დასახული მიზნისკენ (რომელიც, რა თქმა უნდა, გაკვეთილის დასაწყისშივე გავაცანი) ბუნებრივად და მარტივად მივიწევდით, რაც მეც და მოსწავლებსაც მოტივაციასა და სითამამეს გვმატებდა.

როგორც გაკვეთილის გეგმაში მქონდა აღნიშნული, გაკვეთილის წინაპირობა გახლდათ ის, რომ მოსწავლეებს წაკითხული უნდა ჰქონოდათ ვასილ ბარნოვის, ნოდარ წულეისკირის, შარლოტა კვანტალიანისა და მეოცე საუკუნის სხვა პოეტების ნაწარმოებები (რომელთა ნაწილი თავად განვათავსე ბლოგზე, რათა ყველასთვის ხელმისწვდომი ყოფილიყო), რომლებიც ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით შევარჩიე. გავითვალისწინე მოსწავლეთა მრავალფეროვანი ინტერესებიცა და მათი ასაკობრივი კატეგორიაც, შევეცადე, მათთვის კითხვა რუტინად არ გადამექცია და მივეცი სრული თავისუფლება, დიდტანიანი ნაწარმოები სრულად ან ნაწლობრივ წაეკითხათ. დროითი ჩარჩოთიც ნაკლებად შევზღუდე, რადგან ვიცნობ ჩვენი სკოლის

სამოდელო გაკვეთილი

სპეციფიკას და ვიცი, როგორი რთული დღის წესრიგი აქვთ ჩვენს მოსწავლეებს, მით უფრო, რომ ამ კლასში უმეტესობა წარმატებული მოსწავლეა. ამიტომ „ტრფობა ნამებულის“ წაკითხვა წინა წელსვე ვურჩიე (ზაფხულში უნდა წაეკითხათ), დანარჩენი – სასწავლო წლის განმავლობაში – სექტემბრიდან; ლექსები კი სულ ბოლოს, გაკვეთილამდე არც თუ დიდი ხნის წინ. ამგვარად, მათ საკმაოდ დიდი მასალა დაუგროვდათ, რომელიც თავმოყრასა და ურთიერთდაკავშირებას ითხოვდა.

შემიძლია თამამად ვთქვა, რომ კლასი ჩართული იყო საგაკვეთილო პროცესში. მოსწავლეებმა შეძლეს დასახული მიზნების მიღწევა: საკუთარი ემოციებისა და დამოკიდებულებების გამოხატვა, მსჯელობა, ტექსტების შედარება, ლოგიკური დასკვნების გამოტანა, გუნდური მუშაობა და სხვ. ბრწყინვალე იყო მათი ურთიერთშეფასებაც – იმ დღის ყველა გამორჩეული მოსწავლე დაასახელეს და თან აღტაცებით საუბრობდნენ, თუ რა მოეწონათ მათ პასუხსა თუ ქმედებაში.

მსჯელობის, პარალელების გავლების, სინთეზის, რეფლექსიური აზროვნების, ზოგადად, კოგნიტური უნარების განვითარებას ხელი შეუწყო ნაწარმოებთა სიღრმემ და დაგეგმილმა აქტივობებმა. მოსწავლეებმა ერთმანეთს შეადარეს ჰაგიოგრაფიული და მათზე დაყრდნობით შექმნილი მეოცე საუკუნის ტექსტები. მათი აღქმა იმდენად ადეკვატური და ბუნებრივი იყო, რომ ვფიქრობ, ბევრ შემთხვევაში, სრულყოფილებას არაფერი აკლდა. მოსწავლეებმა გუნდურ სამუშაოს თავი მშვენივრად გაართვეს, არც რეგლამენტი დაურღვევიათ პრეზენტაციის დროს. ლიდერების მსჯელობა დამაჯერებელი იყო. გაკვეთილი სწორედ ისე წარიმართა, როგორც ველოდი და ვგეგმავდი. ზოგ მომენტში მოლოდინსაც კი გადააჭარბა. მაგალითად, როდესაც დავსვი შეკითხვა, მოეწონათ თუ არა ჰაგიოგრაფია და რთული იყო თუ არა ამ ტექსტების წაკითხვა-შესწავლა, რატომღაც დარწმუნებული ვიყავი, რომ კლასის ნაწილი აუცილებელად იტყოდა, რომ „რთულია“, „დამღლელელია“, „მძიმეა“ და მისთ. მოსწავლეებმა კი ისეთი გულწრფელი აღფრთოვანება და სიამოვნება გამოხატეს, რომ პირველად ვიფიქრე – ამ რამდენიმე წლის შრომას უკვალოდ არ ჩაუვლია-მეთქი.

ხარვეზად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ გეგმაში მქონდა, გუნდური მუშაობის შემდეგ, დაფაზე დიაგრამით მწერლის მიზნების შედარება სხვადასხვა ეპოქის ტექსტებში, მაგრამ მოსწავლეებმა (დაწყებული გონებრივი იერიშით, დამთავრებული გუნდური მუშაობის პრეზენტაციებით), იმდენად სიღრმისეულად გააანალიზეს ყველაფერი, ისეთი კარგი პარალელები გაავლეს და ისე დაუკავშირეს ტექსტები ერთმანეთთან, რომ ეს აქტივობა საჭირო ნამდვილად აღარ იყო და „განრიგიდან ამოვაგდე“. თავად ეს ფაქტი მეტად სასიხარულო იყო ჩემთვის, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ კლასის პოტენციალი ბოლომდე მაინც ვერ „გავთვალე“ და ზედმეტი აქტივობა მქონდა გეგმაში.

გაკვეთილის მსვლელობისას გამოვიყენე სლაიდშოუ არა ეფექტის მოსახდენად, არამედ დროის მოგების მიზნით. გარდა ამისა, როცა შეკითხვების ნაწილი, დავალებები სლაიდებზე ჩნდება, ეს აძლიერებს მოსწავლეთა კონცენტრირებას იმ მომენტში და უფრო მობილიზებულნი ხდებიან. გარდა ამისა, უბრალოდ მჭირდებოდა ფერწერის მოხმობა და მასში გამოხატული არსებითი ნიშნების გაანალიზება, ამისთვის კი ციფრული ტექსტები კარგი საშუალებაა.

ვფიქრობ, საშინაო დავალება კიდევ ერთხელ განამტკიცებს და კიდევ ერთხელ გააააქტიურებს გაკვეთილით მიღწეულ შედეგებს.

ბუნებრივია, ერთი გაკვეთილი ყოველისმომცველი ვერ იქნება და მეც დამრჩა უკმარისობის შეგრძნება, მინდოდა, მეტი ესაუბრათ ბავშვებს და კიდევ უფრო ღრმად შევხებოდით ტექსტის შიდა პლასტებს. თუმცა, ეს ამ გაკვეთილის ჩარჩოებსა და მიზნებს სცილდება და მომდევნო გაკვეთილების პრეროგატივაა.

ნინო ნასყიდაშვილი
აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის ქ. თბილისის №42 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

სპორტი

წელი შეაჯამეს

საქართველოს მეცნიერების, განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ, წინასაახალწლოდ, კიდევ ერთხელ შეაჯამა სკოლებში სპორტის გაკვეთილების, მოსწავლეებში სპორტული ცხოვრებისა და ჯანსაღი წესის დანერგვის პროცესი – 26 დეკემბერს სამინისტროში გამორჩეული სპორტული კლუბები დააჯილდოვეს. ეს ცერემონიალი სამ ნომინაციაში გაიმართა: აქტივობები, საუკეთესო მასწავლებელი და სპორტული კლუბები. ქვემოთ განვმარტოთ, რის საფუძველზე მოხდა ეს.

მოგეხსენებათ, სამინისტრო ახორციელებს „სკოლებში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სწავლების გაძლიერების“ პროექტს. რამდენიმეთაგან მისი ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი, ანუ ქვეპროექტი, კი არის „სასკოლო სპორტული კლუბების კონკურსი“. აღნიშნული პროექტი განვითარების რამდენიმე ეტაპს მოიცავს, ერთ-ერთი სკოლებში სპორტული კლუბების დაარსებას გულისხმობს.

თვით ამ კლუბების შეფასებაც ეტაპობრივად მოხდა, რამდენიმე კრიტერიუმით. პირველ ეტაპზე, ისინი შეფასდნენ არაფორმალური განათლების ფარგლებში გამოჩენილი აქტივობებით, რის საფუძველზეც გამოვლინდა 8 საუკეთესო სასკოლო კლუბი. აქტივობები გულისხმობდა არასაგაკვეთილო ღონისძიებებს – დილის ვარჯიშები, შიდა სასკოლო ინიციატივები, საგანმანათლებლო პროექტები, ოლიმპიზმი და სხვა, მათი მუშაობა ფასდებოდა ქულებით.

მეორე ეტაპზე, ფორმალური განათლების ფარგლებში, უშუალოდ საგაკვეთილო პროცესი შეამოწმეს, ანუ აქ მთავარი იყო არა აქტივობები, არამედ უშუალოდ სპორტის გაკვეთილები, მათი ჩატარება და მიმდინარეობა, რაც ასევე ქულებით ფასდებოდა. სწორედ ამის საფუძველზე გამოვლინდა სამი საუკეთესო მასწავლებელი, რომლებიც საუკეთესო გაკვეთილის ჩატარებისთვის დაჯილდოვდნენ სიგელებით.

საბოლოოდ კი ამ ორი კრიტერიუმის – აქტივობა+საუკეთესო გაკვეთილი, უფრო სწორად კი მათში დაგროვებული ქულების დაჯამებით, გამოვლინდა სამი საუკეთესო სპორტული კლუბი, რომლებიც 26 დეკემბერს დაჯილდოვდნენ. ეს ღონისძიება თბილისს მოიცავდა, თუმცა სიგელები გადაეცათ რეგიონულ კოორდინატორებსაც ქალაქ გორიდან. ვიდრე ნომინანტებს გაგაცნობდეთ, გეტყვით, რომ დაჯილდოების ცერემონიალის თანაავტორი იყო თბილისის რეგიონული ოლიმპიური კომიტეტი, მასში კი მონაწილეობდნენ ხელბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ზურაბ კაკაბაძე**, გენერალური მდივანი **ქეთევან კობერიძე**, ასევე წარმომადგენლები თავად სამინისტროდან, მასწავლებლის სახლიდან და სხვები. თბილისის ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელმა, **მურთაზ მნათობიშვილმა** ნომინაციებში გამარჯვებულებს სიგელები და ფასიანი საჩუქრები გადასცა.

დასასრულს გეტყვით, რომ მარტში იგეგმება რეგიონულ კოორდინატორთა სემინარი თბილისში, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს 50 რესურსცენტრის 60 კოორდინატორი. შეგახსენებთ, რომ ზემოაღნიშნული პროექტის ფარგლებში, რეგიონებში მუშაობის გაშლის მიზნით, სამინისტრომ კოორდინატორების გადამზადებაც დაიწყო, რამაც უკვე ყველა რეგიონი მოიცვა. ისინი ადგილებზე სხვებს უტარებენ თეორიულ-პრაქტიკულ მეცადინეობებს.

მარტში დაგეგმილ სემინარზე ესპანელი ექსპერტების ჩამოყვანასაც ფიქრობენ.

საუკეთესო გაკვეთილი:

1) სსიპ ქალაქ თბილისის 103-ე საჯარო სკოლა (ფიზიკური აღზრდის მასწავლებელი – **ეკა ყარყარაშვილი**);
2) სსიპ ქალაქ თბილისის 118-ე საჯარო სკოლა (ფიზიკური აღზრდის მასწავლებელი – **ფატი წიკლაური**);
3) სსიპ ქალაქ თბილისის 129-ე საჯარო სკოლა (ფიზიკური აღზრდის მასწავლებელი – **დავით უნგიაძე**).

აქტიური გაკვეთილის ჩატარებისთვის:

1) სსიპ ქალაქ თბილისის 82-ე საჯარო სკოლა (ფიზიკური აღზრდის მასწავლებელი – **დიმიტრი მუმლაძე**);
2) სსიპ ქალაქ თბილისის 65-ე საჯარო სკოლა (ფიზიკური აღზრდის მასწავლებელი – **გიორგი მარკოზაშვილი**);
3) სსიპ ქალაქ თბილისის 92-ე საჯარო სკოლა (ფიზიკური აღზრდის მასწავლებელი – **ქეთევან ნიკოლეიშვილი**).

საუკეთესო სპორტული კლუბი

1) სსიპ ქალაქ თბილისის 131-ე საჯარო სკოლის სასკოლო სპორტული კლუბი „არწივი“ (კლუბის ხელმძღვანელი – **ლია მესტვირიშვილი**);
2) სსიპ ქალაქ თბილისის 129-ე საჯარო სკოლის სასკოლო სპორტული კლუბი „ირაო“ (კლუბის ხელმძღვანელი – **ეკა ჭადაშვილი**);
3) სსიპ ქალაქ თბილისის 120-ე საჯარო სკოლის სასკოლო სპორტული კლუბი „ბაირაღი“ (კლუბის ხელმძღვანელი – **მევლუდ ლაშაური**);

გორიდან დაჯილდოვდნენ ქალაქის №1 (ფიზიკური აღზრდის მასწავლებელი – **დავით ტეტუნაშვილი**) და №2 (**ირაკლი ჩაჩიბაია**) საჯარო სკოლების კოორდინატორები.

ტურნირი გამოჩენილ ფეხბურთელს მიეძღვნა

ფეხბურთი საქართველოში ყველაზე პოპულარული თამაშია, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის კი – სპორტის ყველაზე საყვარელი სახეობა. ასე იყო ყველა თაობის სტუდენტებისთვის, ასეა ახლაც და იმედია, ასე იქნება მომავალშიც.

ქართული ფეხბურთის ისტორიას ახსოვს ფეხბურთელები, რომლებმაც მსოფლიოსა თუ ევროპის პირველობებში, ოლიმპიურ თამაშებში იასპარეზეს, გოლებიც გაიტანეს და თავი დაამახსოვრეს გულშემატკივრებს. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ხშირად იმართება გამოჩენილი ქართველი ფეხბურთელების, საზოგადო მოღვაწეების სახელობის მინი-ფეხბურთის ტურნირები. ამჯერად ქუთაისის ტორპედოს შესანიშნავი თაობის (1960-70 წლების) ფეხბურთელების – **ჯემალ ხერხაძის** და **იური ჩხაიძის** სახელობის ტურნირი მოეწყო. ტურნირის ორგანიზატორი და მხარდამჭერი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი გახლდათ (სპორტის ცენტრის დირექტორი – **ზაურ ფხალაძე**, ამავე უნივერსიტეტის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის მწვრთნელი, ტურნირის მთავარი მსაჯი – საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწე **ვახტანგ ბაქანიძე**; თსსუ უცხოენოვანი ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობის ხელმძღვანელი – VI კურსის მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტი **რაჯი ბაისქარაანი** (ინდოეთი).

აღნიშნულ ტურნირში, უცხოენოვან სტუდენტებთან ერთად, ქართველი სტუდენტებიც მონაწილეობდნენ, რომლებიც სხვადასხვა გუნდში გადანაწილდნენ. ჯგუფებში პირველ-მეორე ადგილზე გასული გუნდები პლეიოფში გავიდნენ.

ასპარეზობის დასკვნითი შეხვედრების შედეგები ასეთია:

ნახევარფინალები:

1. „ბოგრანა“-„ქლქამიშ“ (ორივე – ერაყი) – 5:3
2. „პოტინკი“ (ერაყი)-„ბინვარმრს“ (ინდოეთი) – 4:2

ფინალი: „ბოგრანა“-„პოტინკი“ – 3:2

3. დაძაბული და საინტერესო თამაში მოიგო გუნდმა „ბოგრანა“ (გუნდის კაპიტანი – **ნიკა სურამლიშვილი**, უცხოენოვანი სტომატოლოგიური ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტი). ტურნირი მართლაც საინტერესო გამოდგა, გუნდები ყოველმხრივ ცდილობდნენ თავის გამოჩენას. აღსანიშნავია „იორდანიის“ – პირველი კურსის ნაკრები გუნდის აქტიური მონაწილეობა.

დასახელდნენ ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელები:

1. *ტურნირის საუკეთესო მეკარე* – **ლევან გობეჯიშვილი**, ჯანდაცვის მენეჯმენტის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი;
2. *საუკეთესო ბომბარდირი* – 12 გატანილი გოლით, **ალი ალზბადი**, უცხოენოვანი მედიცინის ფაკულტეტის V კურსის სტუდენტი, უცხოენოვანი სტუდენტური თვითმმართველობის სპორტის ხელმძღვანელი (ერაყი);
3. *ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელი* – **ლაშა ოსეფაშვილი**, მედიცინის ფაკულტეტის V კურსის სტუდენტი, თსსუ ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის კაპიტანი.

გუნდები და ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელები თასებითა და მედლებით დაჯილდოვდნენ. ნაკრები გუნდისთვის შეირჩა ნიჭიერი სპორტსმენები. თსსუ სპორტის ცენტრი მადლობას უხდის ტურნირის მონაწილე ყველა ფეხბურთელს.

რუბრიკას უძღვება
ირაკლი თავაძე

მოსწავლე შემოქმედი

დემეტრე ომარაშვილი *დაიბადა თბილისში, 2009 წლის 11 ივნისს, სწავლობს გურამ დოჩანაშვილის სახელობის საერთაშორისო ქართული სკოლის მე-4 კლასში (დირექტორი –* ***ქეთევან დოჩანაშვილი****). მისი ჰობია თევზაობა და ნადირობა, უყვარს წიგნების კითხვა. წაკითხული აქვს ასტრიდ ლინდგრენის „პეპი გრძელიწინდა“ და „სახურავის ბინადარი კარლსონი“; მარკ ტვენის „ტომ სოიერის თავგადასავალი“ და „ჰეკლბერი ფინის თავგადასავალი“; ანტუან დე სენტ-ეგზიუპერის „პატარა პრინცი“; ასტრიდ ლინდგრენის „ემილის თავგადასავალი“; „მიო, ჩემო მიო“; მისი სამაგიდო წიგნია „ჭადრაკი ბავშვებისთვის“, თამაშებიდან ყველაზე მეტად ჭადრაკი უყვარს.*



ახალი განათლება
მთავარი რედაქტორი:
მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №126, სართული II, ოთახი №14
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.akhaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“
ს/კ 202058735, ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >
ფასი – 1 ლარი 90 თეთრი